

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე „კრუზ ვარასი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ“ (*Cruz Varas and Others v. Sweden*)¹

პლენარულ სხდომაზე გადაწყვეტილების გამოსატანად სასამართლოს რეგლამენტის 51-ე მუხლის² შესაბამისად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეიკრიბა შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ბ-ნი რ. რისდალი, პრეზიდენტი
ბ-ნი ჯ. კრემონა,
ბ-ნი თ. ვილიალმსონი,
ქ-ნი დ. ბინდშედლერ-რობერტი,
ბ-ნი ფ. გოლცუკლუ,
ბ-ნი ფ. მატშერი,
ბ-ნი ლ.-ე. პეტიტი,
ბ-ნი ბ. ვოლში
სერ ვინსენტ ევანსი,
ბ-ნი რ. მაკდონალდი,
ბ-ნი ს. რუსო,
ბ-ნი რ. ბერნჰარდტი,
ბ-ნი ა. სპილმენი,
ბ-ნი ჯ. დე მეიერი,
ბ-ნი ს. კ. მარტენსი,
ქ-ნი ე. პალმი,
ბ-ნი ი. ფოიგელი,
ბ-ნი ა. ნ. ლოიზუ
ბ-ნი ჯ. მ. მორინელა,

აგრეთვე, ბ-ნი მ.-ა. ეისენი, რეგისტრატორი, და ბ-ნი. კ. პეტზოლდი, რეგისტრატორის მოადგილე.

იმსჯელა რა განმარტოებით 1990 წლის 25 ოქტომბერსა და 1991 წლის 20 თებერვალს,

სასამართლომ 1991 წლის 20 თებერვალს გამოიტანა წინამდებარე განაჩენი:

პროცედურა

1. წინამდებარე საქმე სასამართლოს წარედგინა 1990 წლის 11 ივლისს ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის (შემდგომში „კომისია“) მიერ, ხოლო 1990 წლის 31

¹ რეგისტრატორის შენიშვნები: საქმის ნომერია 46/1990/237/307. პირველი ნომერი მიუთითებს საქმის ადგილზე სასამართლოს საქმეთა სიაში შესაბამის წელს (მეორე ნომერი). ბოლო ორი ნომერი მიანიშნებს საქმის ადგილზე სასამართლოს იმ საქმეთა სიაში, რომლებიც შესულია სასამართლოში განსახილველად დღიდან მისი შექმნისა, და კომისიისთვის წარმოდგენილ განაცხადთა სიაზე.

² წინამდებარე საქმეში გამოიყენება სასამართლოს რეგლამენტში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 1989 წლის 1-ლ აპრილს.

აგვისტოს შვეციის მთავრობის მიერ (შემდგომში „მთავრობა“), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტითა და 47 მუხლით დადგენილი სამი თვის ვადაში. საქმეს საფუძვლად უდევს განაცხადი (№15576/89), რომელიც 25-ე მუხლის თანახმად შვეციის წინააღმდეგ 1989 წლის 5 ოქტომბერს წარუდგინეს კომისიას ჩილეს მოქალაქეებმა ბ-ნმა პეტორ კრუზ ვარასმა, მისმა მეუღლემ ქ-ნმა მაგალი მარიოზა ბუსტამენტო ლაზომ და მათმა შვილმა რიჩარდ კრუზმა.

კომისიის თხოვნაში მითითებული იყო 44-ე და 48-ე მუხლები და დეკლარაცია, რომლითაც შვედეთმა აღიარა სასამართლოს იურისდიქცია (მუხლი 46), და მთავრობის მიერ 48-ე მუხლის გამოყენება. მოთხოვნისა და მიმართვის მიზანი იყო გადაწყვეტილების მიღება იმასთან დაკავშირებით, წარმოადგენდა თუ არა საქმეში არსებული ფაქტები სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-3 მუხლისა და 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ასევე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მე-8 მუხლით ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევებს.

2. სასამართლოს რეგლამენტის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტის თანახმად, დასმულ შეკითხვათა საპასუხოდ განმცხადებლებმა გამოთქვეს სურვილი, მონაწილეობა მიეღოთ სამართალწარმოებაში და დაასახელეს ადვოკატი, რომელიც წარმოადგენდა მათ ინტერესებს (30-ე მუხლი).

3. პალატაში შევიდნენ *ex officio* წევრები: ქ-ნი ე. პალმი, შვედეთის მხრიდან არჩეულ მოსამართლე (კონვენციის 43-ე მუხლი),³ და ბ-ნი რ. რისდალი, სასამართლოს პრეზიდენტი (21-ე მუხლის მე-3 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტი). 1990 წლის 27 აგვისტოს სასამართლოს პრეზიდენტმა რეგისტრატორის თანდასწრებით კენჭისყრით გამოავლინა პალატის შვიდი სხვა მოსამართლის ვინაობა. ეს მოსამართლეები იყვნენ: ბ-ნი ჯ. კრემონა, ბ-ნი ფ. მატშერი, ბ-ნი ლ.-ე. პეტიტი, ბ-ნი რ. მაკდონალდი, ბ-ნი ჯ. დე მეიერი, ბ-ნი ნ. ვალტიკოსი და ბ-ნი ჯ. მ. მორინელა (კონვენციის 43-ე მუხლი და რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

4. ბ-ნმა რისდალმა დაიკავა პალატის პრეზიდენტის თანამდებობა (რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტი) და რეგისტრატორის საშუალებით აცნობა მთავრობის წარმომადგენელს, კომისიის დელეგატსა და განმცხადებელთა წარმომადგენელს წერილობითი პროცედურის საჭიროების შესახებ (რეგლამენტის 37-ე მუხლის 1 პუნქტი). გაცემული ბრძანების შედეგად რეგისტრატორმა 1990 წლის 18 სექტემბერს მიიღო მთავრობის მემორანდუმი, ხოლო 1990 წლის 19 სექტემბერს – განმცხადებელთა მემორანდუმი. კომისიის დელეგატმა მოგვიანებით აცნობა რეგისტრატორს, რომ იგი მიმოხილვას მოსმენაზე წარმოადგენდა.

5. რეგისტრატორის საშუალებით შეთანხმებული იქნა, თუ ვინ წარდგებოდა სასამართლოს წინაშე. 1990 წლის 26 ივლისს პრეზიდენტმა ბრძანა, რომ ზეპირი მოსმენა გაიხსნებოდა 1990 წლის 22 ოქტომბერს (რეგლამენტის 38-ე მუხლი).

6. 1990 წლის 29 აგვისტოს პალატამ, რეგლამენტის 51-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვიტა, იურისდიქცია გადაეცა პლენარული სასამართლოსათვის.

3 რეგისტრატორის შენიშვნა. კონვენციის მე-8 ოქმის მე-11 მუხლის (რომელიც ძალაში შევიდა 1990 წლის 1 იანვარს) საფუძველზე შეცვლილი სახით.

7. 1990 წლის 25 სექტემბერს პრეზიდენტმა შესთავაზა კომისიას, სასამართლოსათვის წარმოედგინა კომისიის წინაშე წარდგენილი ყველა წერილობითი თუ ზეპირი მიმოხილვა. კომისიამ ხსენებული დოკუმენტები 1990 წლის 28 სექტემბერს წარმოადგინა.

8. 1990 წლის 27 სექტემბერს პრეზიდენტმა, მთავრობისა და განმცხადებელთა თხოვნის მიუხედავად, გადაწყვიტა, რომ აუცილებელი არ იყო მოწმეთა მოწვევა და სასამართლო მოსმენამდე ერთი კვირით ადრე საჭირო იყო დამატებითი წერილობითი მტკიცებულებების წარმოდგენა. დამატებითი მტკიცებულებები როგორც მთავრობის, ისე განმცხადებელთა სასამართლოს წინაშე 1990 წლის 15 ოქტომბერს იქნა წარმოდგენილი.

9. მოსმენა გაიმართა საჯაროდ, დანიშნულ დღეს, სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა შენობაში. სასამართლომ წინასწარ გამართა მოსამზადებელი შეხვედრა.

სასამართლოს წინაშე გამოცხადნენ:

მთავრობის სახელით:

ბ-ნი ჰანს კორელი, ელჩი, სამართლებრივ და საკონსულო საკითხებში მდივნის მოადგილე, საგარეო საქმეთა სამინისტრო, წარმომადგენელი

ბ-ნი ერიკ ლემპერტი, მდივნის მუდმივი მოადგილე, შრომის სამინისტრო, ბარისტერი

ქ-ნი ბრიტ-ლოუისე გუნარი, შრომის სამინისტროს პირველი მდივანი,

ბ-ნი პარ ბოქვისტი, მრჩეველი იურიდიულ საკითხებში, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო,

მრჩეველები

კომისიის სახელით:

ბ-ნი გაუკურ იორუნდსონი, დელეგატი;

განმცხადებელთა სახელით:

ბ-ნი პიტერ ბერგჟუისტი, ბარისტერი;

ბ-ნი პერსი ბრეტი, მრჩეველი.

10. სასამართლომ მოუსმინა ბ-ნ კორელს მთავრობის მხრიდან, ბ-ნ იორუნდსონს კომისიის მხრიდან, ბ-ნ ბერგჟუისტსა და ბ-ნ ბრეტს განმცხადებელთა მხრიდან, მოუსმინა, აგრეთვე, სასამართლოსა და მისი სამი წევრის მიერ ინდივიდუალურად დასმულ კითხვებზე გაცემულ პასუხებს.

11. 1990 წლის 22 და 31 ოქტომბერს განმცხადებლებმა, ხოლო 1990 წლის 7 დეკემბერს მთავრობამ წარმოადგინეს სხვადასხვა დოკუმენტები, რომლებიც მოიცავდა დამატებით დეტალებს კონვენციის 50-ე მუხლის საფუძველზე განმცხადებელთა სარჩელთან დაკავშირებით და მთავრობის მიერ ამის თაობაზე გაკეთებულ კომენტარებს.

შეჯამება

I. საქმის კონკრეტული გარემოებები

12. განმცხადებლები არიან ბ-ნი ჰექტორ კრუზ ვარასი (პირველი განმცხადებელი), მისი მეუღლე ქ-ნი მაგალი მარიოზა ბუსტამენტო ლაზო (მეორე განმცხადებელი) და მათი შვილი რიჩარდ კრუზი, რომელიც დაბადებულია 1985 წელს (მესამე განმცხადებელი). სამივე განმცხადებელი ჩილეს მოქალაქეა.

13. პირველი განმცხადებელი შვედეთში ჩამოვიდა 1987 წლის 28 იანვარს და მეორე დღესვე პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა შვედეთის მთავრობას. 1987 წლის 5 ივნისს პირველ განმცხადებელს შეუერთდნენ მეორე და მესამე განმცხადებლებიც.

ა. განმცხადებლის ბაძმების ბადაწყვეტილება

14. 1987 წლის 22 ივნისს პირველი განმცხადებელი დაკითხული იქნა ვახიოს პოლიციის განყოფილების (*polismyndigheten*) წარმომადგენელთა მიერ იმ მიზეზებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც განმცხადებლები ითხოვდნენ პოლიტიკურ თავშესაფარს. რაც შეეხება პირველი განმცხადებლის წარსულს ჩილეში, მან პოლიციის წარმომადგენლებს შემდეგი ინფორმაცია მიაწოდა: 1968 წელს იგი გახდა რადიკალური პარტიის ახალგაზრდული ფედერაციის წევრი. 1970 წელს შეუერთდა სოციალისტურ პარტიას და მისი წევრი იყო 1973 წლის სახელმწიფო გადატრიალების (*coup d'état*) შემდეგაც. ამ გადატრიალების შედეგად პრეზიდენტ ალიენდეს კოალიციური მთავრობა შეცვალა რეჟიმმა გენერალ პინოჩეტის მეთაურობით. 1971 წელს პირველი განმცხადებელი შევიდა რევოლუციონერ მუშათა პარტიაში (*FDR*), რომელშიც 1973 წლამდე მას მდივნის თანამდებობა ეკავა და იღწვოდა პინოჩეტის რეჟიმის წინააღმდეგ ოპოზიციის დასაარსებლად. 1976 წელს იგი დაკავებული და გადაყვანილი იქნა სამხედრო ბანაკში, სადაც პატიმრობაში იმყოფებოდა ორი დღის განმავლობაში. 1976 წელს პირველი განმცხადებელი შეუერთდა მორმონებს. 1976 წლიდან 1982 წლამდე იგი პოლიტიკაში არ ერეოდა და მოვლენების მიმართ პასიური იყო. 1982 წელს გადავიდა ვილა ალემანაში და ჩაება დემოკრატიული ფრონტის ბუკლეტების (სააგიტაციო ფურცლების) გავრცელებაში. მან მონაწილეობა მიიღო ბევრ დემონსტრაციასა და ორ სახალხო გაფიცვაში (1985 წლის აგვისტო და 1986 წლის 4 ივნისი), დაკავებული იქნა 1973 და 1974 წლებში კომენდანტის საათის დარღვევისათვის. პირველი განმცხადებელი ასევე დაკავებული იქნა 1985 წლის აგვისტოში CNI-ის აგენტების მიერ (*Central Nacional de Investigaciones de Chile*) აკრძალულ ზონაში ველოსიპედით შესვლისათვის. 4 საათის შემდეგ იგი გაათავისუფლეს. გარდა ზემოხსენებული შემთხვევებისა, ჩილეს სამხედრო ძალების წარმომადგენლები და პოლიცია მას არ შეხებიან. ჩილეს დატოვების მიზეზად პირველმა განმცხადებელმა დაასახელა ის ფაქტი, რომ ველარ ინახავდა თავის სახლს ვილა ალემანაში, სადაც ცხოვრობდა თავის ოჯახთან ერთად ფინანსურ გაჭირვებაში, რადგან დიდი ხნის განმავლობაში იყო უმუშევარი. მან ვერ შეძლო გირაოს გადახდა და სახლის იძულებითი გაყიდვის თავიდან ასაცილებლად არჩია სახლის თავად გაყიდვა.

15. ეროვნული საიმიგრაციო კოლეგიისათვის (*statens invandrarverk* – შემდგომში „კოლეგია“) გაგზავნილ, 1987 წლის 27 ივლისით დათარიღებულ მემორანდუმში პირველი განმცხადებელი თავისი ადვოკატის საშუალებით კომენტარს უკეთებდა ზემოხსენებულ დაკითხვას. მან განაცხადა, რომ 1976 წელს იგი დაკავებული იქნა ოთხ მეგობართან ერთად და დაექვემდებარა არაადამიანურ მოპყრობას. მათ არ აძლევდნენ

ძილის ნებას და აიძულებდნენ, შიშვლები ფეხზე მდგარიყვნენ. ამასთან, ერთ-ერთ მის მეგობარს სცემეს.

16. 1988 წლის 21 აპრილს კოლეგიამ გადაწყვიტა განმცხადებელთა გაძევება და აუკრძალა მათ კოლეგიის ნებართვის გარეშე შვედეთში დაბრუნება 1990 წლის 1 მაისამდე. კოლეგიამ ასევე უარყო განმცხადებელთა მოთხოვნები მათთვის ლტოლვილის სტატუსისა და სამგზავრო დოკუმენტაციის მინიჭების თაობაზე. კოლეგიამ ჩათვალა, რომ განმცხადებლებს არ წარმოუდგენიათ საკმარისად ძლიერი პოლიტიკური მოტივები, რათა ჩათვლილიყვნენ ლტოლვილებად „უცხოელთა შესახებ კანონის“ მე-3 თავის (*utlänningslagen*, 1980: 376) ან 1951 წლის ქენევის „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციის შესაბამისად.

17. განმცხადებლებმა საჩივრით მიმართეს მთავრობას. პირველმა განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა რაიმე ახალი გარემოება. მან აღნიშნა, რომ ჯერ არ მიუღია ჩილედან გამოგზავნილი ყველა წერილი და ამიტომაც არ შეეძლო წარმოედგინა რაიმე სახის დოკუმენტები თავისი საჩივრის დასასაბუთებლად.

18. 1988 წლის 29 სექტემბერს მთავრობამ (შრომის სამინისტრო) უარყო საჩივარი.

19. ამის შემდეგ განმცხადებლებმა საჩივრით მიმართეს ვარბერგის პოლიციას და ამტკიცებდნენ, რომ არსებობდა გაძევების ხელისშემშლელი გარემოებები, რისთვისაც ისინი ითხოვდნენ საქმის კოლეგიისათვის გადაცემას. ვარბერგის პოლიციის წარმომადგენლებმა პირველი განმცხადებელი დაკითხეს 1988 წლის 19 ოქტომბერს. მან განაცხადა, რომ შეეძლო წარმოედგინა ახალი მიზეზები მისთვის თავშესაფრის მიცემის მოთხოვნასთან დაკავშირებით. იგი თვლიდა, რომ ჩილეში დაბრუნების შემთხვევაში დაემუქრებოდა პოლიტიკური დევნის, წამების და, შესაძლოა, სიკვდილის საფრთხე. ამის მიზეზად კი პირველმა განმცხადებელმა შვედეთში პოლიტიკურ ჯგუფთან თანამშრომლობა დაასახელა. ეს ორგანიზაცია – *Frente Patriótico Manuel Rodríguez (FPMR)* – იყო რადიკალური ორგანიზაცია, რომელმაც განახორციელა გენერალ პინოჩეტის მკვლელობის მცდელობა. ამ ჯგუფთან თანამშრომლობა პირველმა განმცხადებელმა შვედეთში ჩასვლის შემდეგ დაიწყო. იგი შიშობდა, რომ CNI-სთვის ცნობილი გახდებოდა მის მიერ შვედეთში 1988 წლის თებერვალში დაწყებული ქმედებები, რომლებიც მოიცავდა ჩილეში პოლიტიკურ პატიმართა მხარდასაჭერად სააგიტაციო ფურცლების გავრცელებას.

20. ვარბერგის პოლიციამ 1988 წლის 21 ოქტომბერს უარყო განმცხადებლების მოთხოვნა და გადაწყვიტა, მათი გაძევების ბრძანება 1988 წლის 28 ოქტომბერს 16 საათზე აღესრულებინა. განმცხადებლები გოტენბურგის ლენდვეტერის აეროპორტიდან თვითმფრინავით უნდა გაემგზავრებინათ სამშობლოში. ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული საჩივარი კოლეგიამ 1988 წლის 26 ოქტომბერს უარყო. 1988 წლის 27 ოქტომბერს განმცხადებლებმა კიდევ ერთხელ ითხოვეს, რომ მათი საქმე კოლეგიას განეხილა. 1988 წლის 28 ოქტომბერს პოლიციამ უარი თქვა ამ მოთხოვნის შესრულებაზე. კოლეგიის მიერ იმავე დღეს იქნა უარყოფილი განმცხადებელთა საჩივარიც მათი მოთხოვნაზე უართან დაკავშირებით. თავის საჩივრის წერილში ბ-ნი კრუზ ვარასი, ახალი დამცველის საშუალებით, ამტკიცებდა, რომ მან დაწერა რამდენიმე სტატია *FPMR*-ის გაზეთში (*El Rodriguista*) და გამოთქვა კრიტიკა ჩილეში არსებული რეჟიმის მიმართ. მან ასევე წარმოადგინა ვარბერგში *FPMR*-ის მხარდამჭერი ჯგუფის წევრის ხუან მარჩანტის მიერ 1998 წლის 23 ოქტომბერს გაცემული მოწმობა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ იგი და მისი ოჯახი ჯგუფში პოლიტიკურად აქტიურნი იყვნენ. პირველმა განმცხადებელმა წარმოადგინა ორი საგაზეთო სტატია, რომლებიც

დათარიღებული იყო 1988 წლის 21 და 24 ოქტომბრით და ეხებოდა ვარბერგში განმცხადებელთა გაძევების საწინააღმდეგოდ გამართულ დემონსტრაციას. ამ სტატიაში ნათქვამი იყო, რომ ბ-ნი კრუზ ვარასი ჩილეში თავის სახლში მაღავედა მეგობრებს, რომლებსაც პოლიცია ეძებდა, და აქტიურად მონაწილეობდა შვედეთში FPMR-ის საქმიანობაში.

21. გაძევების გადაწყვეტილება ვერ იქნა აღსრულებული, როგორც ეს დაგეგმილი იყო, რადგან განმცხადებლები არ გამოცხადდნენ დროულად დაგეგმილი გამგზავრებისათვის.

22. 1988 წლის 30 დეკემბრით დათარიღებულ წერილში, რომელიც გაგზავნილი იქნა ვარბერგის პოლიციაში, განმცხადებლები კიდევ ერთხელ ამტკიცებდნენ, რომ არსებობდა გაძევების ბრძანების აღსრულების ხელისშემშლელი პირობები. 1989 წლის 13 იანვარს ბ-ნი კრუზ ვარასი, მისი ახალი დამცველის თანდასწრებით, დაკითხეს ვარბერგის პოლიციის წარმომადგენლებმა. დაკითხვის ოფიციალური ჩანაწერი შეიცავს შემდეგ ნაწყვეტს (თარგმანი შვედურიდან):

„კრუზს განსაკუთრებით სურს, თავის განცხადებებს დაამატოს შემდეგი ინფორმაცია იმ სასჯელებთან დაკავშირებით, რომლებსაც იგი დაექვემდებარა ჩილეში პატიმრობის დროს. დაუსვეს რა კითხვა ხსენებული დაკავების დროისა და ადგილის შესახებ, კრუზმა განაცხადა, რომ პირველად იგი მოთავსებული იქნა პატიმრობაში სანტიაგოში 1973 წელს. მასთან ერთად დააკავეს ყველა პირი, ვინც კოდელკოს ოფისში (სამთო სამუშაოების კომპანია) იყო. ისინი გადაიყვანეს სამხედრო ცენტრში და ცუდად მოეპყრნენ. კრუზი არ ლაპარაკობდა ამის შესახებ ადრე, რადგან, მისი აზრით, შვედეთის პოლიცია თანამშრომლობდა ჩილეს პოლიციასთან. ამჟამად ის ასე აღარ ფიქრობს.

ვინაიდან ზემოხსენებული შემთხვევა შორეულ წარსულში მოხდა, კრუზმა წარმოადგინა მხოლოდ ის ფაქტები, რომლებიც შედარებით ახლო წარსულში მოხდა და მის დევნას ეხებოდა. შემდეგ მან განაცხადა, რომ 1987 წლის იანვარში, როდესაც კალე ტრონკალის ქუჩაზე მიდიოდა, იგი გააჩერეს, რის შემდეგაც ორი პირი გადმოვიდა მანქანიდან და ძალის გამოყენებით ჩასვა მანქანაში, რომელიც უშიშროების სამსახურის ერთ-ერთი შენობისაკენ გაემართა. მგზავრობის პერიოდში მას ნეკნებში ურტყამდნენ. შენობაში გრძელი კიბით ჩაიყვანეს საგამოძიებო ოთახში, ტანსაცმელი გახადეს და სურათები გადაუღეს. უმეტესად მას თავში ურტყამდნენ, ფეხებით ჩამოკიდეს და ამ მდგომარეობაში გადაუღეს სურათი. პირველ განმცხადებელს ეკითხებოდნენ, თუ სად იყო ლუის ჰერერა, მაგრამ მას არ შეეძლო ეპასუხა. ლუის ჰერერას ეკავა თავისუფალ მოაზროვნე ჰუმანისტთა თავმჯდომარის პოსტი. კრუზმა აღარ ისურვა, ამ ეტაპზე მეტი ეამბნა მის მიმართ მოპყრობასთან დაკავშირებით, თუმცა მან დაამატა, რომ პირები, რომლებმაც მოიტაცეს, აპირებდნენ მის ჩაცხრილვას მოგვიანებით იმავე დღეს. მას თვალები ჰკონდა ახვეული და გრძნობდა, რომ ვიღაცა იარაღის ლულას აჭერდა ტანზე, მაგრამ არ გაუსვრია. კითხვაზე, თუ რატომ აკეთებდნენ ამას, კრუზმა განაცხადა, რომ მიზეზად მათ დაასახელეს მისი კომუნიტობა, თუმცა კომუნიტი არასოდეს ყოფილა. იარაღით შეშინების შემდეგ კრუზი გაათავისუფლეს და ამის შემდეგ კაცი, რომელიც იქ იყო, მას კარგად ექცეოდა. ამ კაცმა უთხრა კრუზს, რომ ყველაფერი უკეთ იქნებოდა, თუ ის პოლიციასთან ითანამშრომლებდა. კითხვაზე, იყვნენ თუ არა ისინი პოლიციის შენობაში, კრუზმა განაცხადა, რომ ეს იყო უშიშროების სამსახურის შენობა. კრუზს მისი ოჯახის წევრების სახელებიც დაუსახელეს. დილის 4 საათზე იგი გამოიყვანეს და ციხეში 14 საათის ყოფნის შემდეგ გაათავისუფლეს. ადრე კრუზს არ უხსენებია ეს შემთხვევა. კითხვაზე, თუ რატომ არ განაცხადა კრუზმა ამის თაობაზე შვედეთის პოლიციის მიერ ჩატარებულ რამდენიმე დაკითხვაზე, დამცველთან მრავალჯერადი კონტაქტის მიუხედავად, ასევე იმ მრავალრიცხოვან დოკუმენტებში, რომლებიც ხელისუფლების ორგანოებს წარედგინა, მან უპასუხა, რომ ადრე იგი ბევრჯერ გასცეს და უღალატეს და ამიტომაც არ შეეძლო ვინმესთვის ნდობის გამოცხადება.

1986 წლის აგვისტოში (პირველ განმცხადებელს არ ახსოვდა კონკრეტული დღე), მეზობლად გამართულ კომიტეტის სხდომაზე დასწრების შემდეგ, კრუზი მიდიოდა ვალპარაისოს ქუჩაზე.

კრუზი აპირებდა ვინა დელ მარისკენ მიმავალი ავტობუსის გაჩერებას. მას ოთხი კაცი მიუახლოვდა მანქანით, დააშინეს იგი დანის ყელზე მიღებით და დააკავეს. ისინი იყვნენ სამოქალაქო პირები სამოქალაქო ავტომანქანით. ისინი გაემართნენ ვინა დელ მარის მიმართულებით. კრუზს შავი ნაჭრით აუხვიეს თვალები, შემდეგ გადმოიყვანეს და წიხლი ჩასცხეს. კრუზი შეძლებისდაგვარად იცავდა თავს თავსა და უბეზე აფარებული ხელებით. ცემასთან ერთად ეს პირები შეურაცხყოფასაც აყენებდნენ, ეუბნებოდნენ, შეეწყვიტა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა. ისინი ამბობდნენ, რომ იცნობდნენ კრუზს და რომ მას აუცილებლად უნდა შეეწყვიტა თავისი მოღვაწეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნებოდა მისი უკანასკნელი დღე. ემუქრებოდნენ მის ოჯახსაც. ყოველივე ამას ადგილი ჰქონდა იმ შენობაში, რომელშიც იგი წაიყვანეს, მაგრამ ვინაიდან კრუზს თვალები ჰქონდა ახვეული, მას არ შეუძლია დაასახელოს, თუ კონკრეტულად რომელ შენობაში იყვნენ. ამჯერად იგი აწამეს გენიტალიებზე ელექტროშოკის შეერთებით. ელექტროდენი შეუერთეს მას საჯდომზე და გენიტალიებზეც, რამაც იგი შოკში ჩააგდო. ყოველივე ზემოხსენებულის შემდეგ კრუზი წაიყვანეს საკმაოდ შორს, ვალპარაისოსა და ვინა დელ მარეს შორის, და გზაზე გაუშვეს. როდესაც იგი მანქანიდან გადაუშვეს, კინაღამ ავტობუსმა გაიტანა. ყველაფერი ეს მოხდა 15 საათის განმავლობაში. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ კრუზმა თავისი სამი წლის ძაღლი მეკდარი იპოვა ისეთ გარემოებებში, რომ აღეძრა ეჭვი, რომ ეს იყო CNI-ის ან ACHA-ს (*Acción Chilena Anticomunista*) ნახელავი. ძაღლი ჩამოცმული იყო ღობეზე, რომელიც გარს ერტყა მის სახლს. კრუზის დასკვნით, ყოველივე ეს იმის შედეგი იყო, რომ ის აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდათა ჯგუფებისა და მეგობრული კომიტეტების მუშაობაში. კრუზი იღვწოდა ჩილეს დემოკრატიული განვითარებისათვის. ყოველთვის, როდესაც მას აკავებდნენ, „პოლიციამ“ იცოდა, რაზე მუშაობდა კრუზი. კრუზს უთარგმნეს კითხვა და მან ისურვა აღენიშნა, რომ კომიტეტები იყვნენ მეზობლური კომიტეტები და არა მეგობრული კომიტეტები, და რომ მიზეზი, რომლის გამოც არავის ენდობოდა, იყო ის, რომ, როდესაც დააკავეს, პოლიციამ ძალიან ბევრი რამ იცოდა მის შესახებ.

კრუზის სურვილის თანახმად, მან თარჯიმნისა და დამცველის დაუსწრებლად განაცხადა, რომ როდესაც 1986 წელს დააკავეს პირებმა, რომლებიც, მისი აზრით, იყვნენ CNI-იდან, მას კიდევ ისეთი რამ გაუკეთეს, რის დამაღვასაც ის ცდილობდა და რისი გახსენებაც ძალიან მტკივნეულია მისთვის. მას შემდეგ, რაც აწამეს, მათ შორის ელექტროდების შეერთებით საჯდომსა და გენიტალიებზე, იგი დააწვინეს საწოლზე პირქვე და ხელებითა და ფეხებით მიაბეს საწოლის გვერდებზე. ამ მდგომარეობაში ერთმა თუ რამდენიმე კაცმა მასზე სექსუალური ძალადობა განახორციელა. კრუზი ამ დროისათვის შოკში იყო და ამიტომ ზუსტად არ შეეძლო ეთქვა, ერთმა ადამიანმა გააკეთა ეს თუ რამდენიმემ (მოსმენის ეს ნაწილი თარჯიმნისა და დამცველის გარეშე წარიმართა. კრუზს შეუძლია შეედურო ენაზე გააგებინოს მსმენელს თავისი სათქმელი).

გარდა ამისა, კრუზს არ შეეძლო, გაემხილა ის პრობლემები, რომლებიც მას სავარაუდოდ აღნიშნული მოპყრობის შემდეგ წარმოეშვა. მას უძნელდებოდა ჭამა ლითონის დანის დახმარებით. ეს პრობლემები თავს იჩენდა, აგრეთვე, ყოველთვის, როდესაც კრუზი მეტალის საგანს შეახებდა კბილებს. ამ ეტაპზე პრობლემებმა დაკარგა სიმწვავე, მაგრამ ადრე ისინი ძალზე ინტენსიური იყო. ასე რომ, ადგილი ჰქონდა ორი სხვადასხვა ტიპის საჩივარს. ერთი მხრივ, კრუზი განიცდიდა ზოგად ტკივილს კბილების არეში, ხოლო მეორეს მხრივ, მას პრობლემები ჰქონდა მეტალის საგნებთან შეხებისას. პირველად კბილების პრობლემამ თავი 1973 წელს ელექტროშოკით წამების შემდეგ იჩინა. კრუზი ამ სახით 4-5 ჯერ აწამეს. 1973 წელს წამების შემდეგ მას თავის ტკივილი დასჩემდა. კრუზმა ასევე აღნიშნა, რომ წამების შემდეგ მესხიერება დაღატობდა.

ზემოთ აღნიშნულის გარდა კრუზს აღარაფერი ჰქონდა დასამატებელი. კითხვაზე, ხომ არ დაამატებდა რაიმეს თავის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ ამ საკითხზე უკვე გააკეთა განცხადებები და საჭიროების შემთხვევაში შეეძლო გაკეთებული განცხადებების დასასაბუთებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. სასამართლოს სამი მოწმობა გადაეცა: ერთი ბელოტოში არსებული, თავისუფლებისათვის მოღვაწე კულტურის ცენტრის პრეზიდენტის, ნიკოლას რეიეს არმიჯოსაგან, მეორე რიკარდო პობლეტო მუნოზისაგან, რომელიც იყო კოორდინატორი მეზობელ კომიტეტთა ორგანიზაციაში, და მესამე მოწმობა

ახალგაზრდა პირთა უფლებების კომისიისაგან. ზემოხსენებული ეთარგმნა კრუზს, რომელსაც შემდგომში არ გამოუთქვამს არანაირი სურვილი, წარმოედგინა საქმეზე რაიმე დამატებითი დეტალი. ამასთან, მას არ გამოუთქვამს პრეტენზია ფაქტების ზემოთ მოცემულ აღწერასთან დაკავშირებით.“

23. ჩანაწერში მოხსენიებული პირველი მოწმობა დათარიღებული იყო 1988 წლის 1-ლი ნოემბრით და შეიცავდა ელ ბელოტოში *Centro Cultural Libertad*-ის (თავისუფლებისათვის მოღვაწე კულტურული ცენტრი) პრეზიდენტის განცხადებას. განცხადების თანახმად, ბ-ნი კრუზ ვარასი ჩილეს დატოვებამდე მონაწილეობდა ორგანიზაციის მოღვაწეობაში და მისი ჩილეში დარჩენის შემთხვევაში დაექვემდებარებოდა ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ზემოქმედებას. მოწმობა მიანიშნებდა რომ ბ-ნი კრუზ ვარასი იძულებული იყო, დაეტოვებინა ქვეყანა პოლიტიკური მოტივებით. მეორე მოწმობა, რომელიც დათარიღებული იყო 1988 წლის 23 ნოემბრით და გაცემული იყო ვალპარაისოში არსებული *Comisión de Derechos Poblacionales*-ის (ხალხის უფლებათა კომისია) თანამდებობის პირის მიერ, ცხადყოფდა, რომ განმცხადებელი 1983 წლის ნოემბრიდან 1986 წლის აგვისტომდე იდევნებოდა დიქტატორული რეჟიმის მიერ. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდა სოციალისტთა ჯგუფის მოღვაწეობაში, იყო ამ ჯგუფის წარმომადგენელი ვილა ალემანაში და დაჯგუფების *Libres Pensadores Humanistas Artesanos de las Letras*-ის (მწერლები და ჰუმანისტი თავისუფალი მოაზროვნენი) ლიდერი. მოწმობის თანახმად, განმცხადებელი დაკავებული იყო სანტიაგოშიც 1973 წელს და ორჯერ ლა სერენაშიც 1974 წლის ნოემბერსა და 1977 წლის სექტემბერში. ამასთან, 1983 წელს ვინა დელ მარში მას ემუქრებოდნენ მოკვლით, ხოლო 1986 წელს და 1987 წლის იანვარში იგი დაკავებული და ნაცემი იქნა სამოქალაქო პირების მიერ. მესამე მოწმობა, რომელიც დათარიღებული იყო 1988 წლის 20 ნოემბრით და გაცემული იყო *Comisión de Derechos Juveniles*-ის (ახალგაზრდობის უფლებათა კომისია) მიერ ქუილპუეში, იმავე შინაარსის განცხადებებს შეიცავდა.

24. 1989 წლის 13 იანვარს პოლიციამ გაძევების ბრძანების აღსრულების საკითხი გადასცა საიმპიგრაციო კოლეგიას. იმავე დღეს პოლიციამ გადაწყვიტა, რომ ბ-ნი კრუზ ვარასი კვირაში ორჯერ უნდა გამოცხადებულიყო პოლიციაში, რადგან არსებობდა იმის საფრთხე, რომ იგი თავს აარიდებდა გაძევების აღსრულებას. 1989 წლის 2 მარტით დათარიღებული წერილით კრუზ ვარასმა წარუდგინა კოლეგიას 1989 წლის 20 თებერვლის სამედიცინო ცნობა, რომელიც გაცემული იყო კაროლინსკას საავადმყოფოს სასამართლო სამედიცინო ინსტიტუტის ასპირანტ-თანაშემწის ბ-ნ ჰაკან ერიქსონის მიერ. ბ-ნი ერიქსონი აცხადებდა, რომ ბ-ნ კრუზ ვარასის მტკიცებით, იგი დაექვემდებარა არაადამიანურ მოპყრობას ჩილეს ციხეებში და უჩვენა ექიმს ზედა მარცხენა ლავიწის ძვლის დეფორმაცია, შრამი მარცხენა მკლავის ზედა ნაწილსა და მკერდის მარცხენა ნაწილში.

25. 1989 წლის 8 მარტს კოლეგიამ საქმე გადაუგზავნა მთავრობას და გამოთქვა აზრი, რომ გაძევების ბრძანების აღსრულებისათვის არ არსებობდა არავითარი ხელისშემშლელი პირობა. კოლეგიამ დაადგინა, რომ ბ-ნ კრუზ ვარასს ჰქონდა საშუალება, რამდენიმეჯერ წარედგინა თავისი საქმე პოლიციისათვის და კოლეგიისათვის, თუმცა მაშინ მან საპირისპირო ინფორმაცია წარადგინა, ახლა კი რადიკალურად შეცვალა თავისი მონათხრობი. კოლეგიამ დაასკვნა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, იგი თუ გაითვალისწინებდა სიძნელეებს, რომლებსაც დაზარალებული შესაძლოა აწყდებოდა იმის აღწერისას, თუ რა ქმედებებს დაექვემდებარა იგი უწინ, არ არსებობდა არავითარი საფუძველი მისი მონათხრობის დასაჯერებლად.

26. 1989 წლის 11 აგვისტოს ბ-ნმა კრუზ ვარასმა მთავრობას წარუდგინა სამედიცინო ანგარიში, რომელიც მომზადებული იყო სასამართლო სამედიცინო ექსპერტის დოქტორ სტენ ვ. იაკობსონის მიერ. 1989 წლის 9 მაისით დათარიღებულ ანგარიშში, *inter alia*, ნათქვამი იყო (თარგმანი შევდური ენიდან):

„სამშობლოში სავარუდო წამების ფაქტთან დაკავშირებით გავსინჯე პაციენტი კრუზ ვარას ჰექტორი, დაბადებული 1948 წლის 9 დეკემბერს. მან მიაშო თავისი ამბავი, რომელიც სინქრონულად ითარგმნებოდა და ჩაწერილია პირველ დანართში. პაციენტის გასინჯვისას შევნიშნე ნიშნები მის ზედა მარცხენა ლავიწის ძვლის მიდამოებსა და მარცხენა მკლავის ზედა ნაწილში, რაც ექსპერტიზის ოქმში დავაფიქსირე...”

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ვაკეთებ შემდეგ განცხადებას:

პაციენტმა განაცხადა, რომ მასზე განხორციელდა თავდასხმა; ობიექტური მტკიცებულებების სახით მან მაჩვენა ჯერ ლავიწის ძვლის დეფორმაცია, რაც გამოიწვია ბლავგი საგნის ჩარტყმამ, შემდეგ კი დამწვრობისათვის დამახასიათებელი და უფერული ნიშანი მარცხენა მკლავის ზედა შიდა ნაწილზე (ჩატარებულმა ექსპერტიზამ აჩვენა, რომ შრამს აქვს გაცხელებული მილით დაშანთვის ტიპური გამოვლინება); პაციენტს აღენიშნება სუბიექტური სიმპტომები, რაც გამოწვეულია გენიტალიებზე წამებით, ანალური წამებით და ანუსში სექსუალური ძალადობით; როდესაც პაციენტი ამას აღწერს, ისე რეაგირებს (ყვირილით, კანკალით), რომ ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე ვივარაუდებ, რომ იგი ნამდვილად დაექვემდებარა ყოველივე იმას, რასაც აღწერს; დასკვნის სახით რომ ვთქვათ, არაფერი გამოვლენილა ისეთი, რაც ეწინააღმდეგება ვარაუდს, რომ ბ-ნი ჰექტორ კრუზ ვარასი დაექვემდებარა ისეთ წამებასა და სექსუალურ ძალადობას, როგორსაც აღწერს.”

დანართ №1-ში მოცემული იყო შემდეგი ინფორმაცია:

„პაციენტი პირველ რიგში საუბრობს თავის თავზე, შემდეგ კი მამამისზე, რომელიც *Partido Socialista*-ს მდივანი იყო. ისინი ცხოვრობდნენ ჩილეში ქალაქ ელ სალვადორეში. პაციენტის მამა დაკავებული იქნა 1973 წელს სამხედრო ოპერაციის დროს; იგი სასტიკად აწამეს და 2 თვის შემდეგ გაათავისუფლეს. პაციენტი მაშინ 24 წლის იყო. ისიც დაკავებული და ნაცემი იქნა, მაგრამ, მისი თქმით, არ უწამებიათ. ისინი გადასახლდნენ ქალაქ ლაზელანაში. ჩილეში აკრძალული პარტიის, *Partido Socialista*-ს წევრი იყო პაციენტიც. იგი იდევნებოდა სამოცდაათიანი და ოთხმოციანი წლების განმავლობაში. 1981 წელს გაჩხრიკეს მისი სახლი, თვითონ სცემა პოლიციამ და წაიყვანა უშიშროების შენობაში, სადაც თვალები აუხვიეს, სცემეს და გახურებული მილით დაუწვეს მარცხენა მკლავის ზედა ნაწილი. იგი მონაწილეობას იღებდა მთავრობის მიერ შემოღებული ... მონეტის (ფულადი სისტემის) წინააღმდეგ დემონსტრაციაში. მოგვიანებით იგი დააკავეს და აწამეს ელექტროშოკით. 1986 წელს იგი დაექვემდებარა ასეთ წამებას გენიტალიებზე. პაციენტი სოლომიზებული იქნა ელექტრიფიცირებული ჯოხით, რამაც მას მიაყენა საშინელი ტკივილი, რომელიც ყველას შეუძლია დაინახოს პატიმრის სახეზე. როდესაც იგი ამაზე ლაპარაკობს, ცოტა აკლია, რომ ტირილი დაიწყოს. იგი რამდენიმეჯერ იქნა გაუპატიურებული, რამაც მისი გულის წასვლა გამოიწვია. პაციენტს ძალიან დიდ ტკივილს აყენებს ამის გახსენება, ზედა ტუჩი უკანკალებს და ოფლად იღვრება. მას არასოდეს მოუყოლია ამის შესახებ თავისი ცოლისათვის, ახლა კი ამბობს: „მე აღარ შემიძლია ამის ატანა“. რეაქცია მეტად ტიპურია და დამახასიათებელია ადამიანისათვის, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა დამამცირებელი სექსუალური წამება. შეკითხვაზე პაციენტი პასუხობს, რომ ამ ამბიდან დიდი ხნის განმავლობაში იმპოტენტი იყო. მისი აზრით, მისი მდგომარეობა შევდეთში საგრძნობლად გაუმჯობესდა. ამ პრობლემის დასაძლევად პაციენტი ვიტამინ E-ს ღებულობს.

1987 წლის ნოემბერში თავისი მკვდარი ძაღლი იპოვნა. ძაღლი ჩამოკიდებული იყო რკინის ღობეზე, რომლითაც გარშემორტყმული იყო მისი სახლი. იქვე იყო ბარათი, რომლის თანახმად იგივე დაემართებოდა ყველა კომუნისტს. ბარათი *ACHA*-ს მიერ იყო ხელმოწერილი, რაც ნიშნავდა, რომ *CNI*-ს ვაკეთებული იყო. ამიტომ პაციენტმა 1987 წელს დატოვა ჩილე. მე

ვსვამ კითხვას: რა დაემართება მას ჩილეში დაბრუნების შემთხვევაში? პაციენტი ძალიან დათრგუნულია, აცხადებს, რომ არ შეუძლია დაბრუნება და იწყებს ტირილს, იგი დარწმუნებულია, რომ აეროპორტშივე დააკავენ და გააგრძელებენ მის ღვენასა და წამებას.”

27. შემდეგი სამედიცინო დასკვნა წარმოდგენილი იქნა ჩვენებაში, რომელიც მოამზადა დოქტორმა სონდერგარდმა, კაროლინას საავადმყოფოს ფსიქიატრიულ დაავადებათა სპეციალისტმა. 1989 წლის 28 ივნისით დათარიღებული დასკვნის მიხედვით, რომ ის, თუ რა სახით წარმოადგინა განმცხადებელმა თავისი მონათხრობი და როგორი რეაქციები ახლდა თან თხრობას, სერიოზულად მიაჩნებოდა იმაზე, რომ განმცხადებელს აღენიშნებოდა ტრავმის შემდგომი სტრესის სინდრომი. დოქტორმა სონდერგარდმა მისი მდგომარეობა საკმაოდ ნეგატიურად მიიჩნია და განაცხადა, რომ განმცხადებელი იმყოფებოდა ზღვარზე, რომლის შემდეგაც მეტს ვეღარ აიტანდა.

28. ბ-ნი კრუზ ვარასის პოლიტიკური მოღვაწეობის შემდგომი აღწერა წარმოდგენილი იქნა მისი ადვოკატის მიერ მთავრობისათვის 1989 წლის 11 აგვისტოს გაგზავნილ წერილში:

„განმცხადებელი პოლიტიკურად დაინტერესებული იყო და სამოციანი წლებიდან აქტიურად მონაწილეობდა მემარცხენე ორგანიზაციების მუშაობაში, ხოლო სამოციანი წლების ბოლოს ჩაება MIR-ის (*Movimiento de la Izquierda Revolucionaria*) საქმიანობაში. სამოცდაათიანი წლების განმავლობაში იგი განსაკუთრებულად აქტიურ მონაწილეობას იღებდა სოციალისტური პარტიის მოღვაწეობაში. დაახლოებით 1983 წლისათვის იგი დაუკავშირდა ადამიანებს, რომლებიც, მისი მოსაზრებით, შედიოდნენ *Frente Patriótico Manuel Rodríguez*-ში. ამ პირებთან ერთად მან მონაწილეობა მიიღო გარკვეულ სამხედრო ღონისძიებებში.

განმცხადებლის პოლიტიკური საქმიანობის გამო 1973, 1976, 1981, 1983, 1986 და 1987 წლებში იგი ნაწამები იქნა. მიზეზები, თუ რატომ არ იქნა ყველა ეს დეტალი დასახელებული პოლიციის მიერ დაკითხვების დროს, იმაში მდგომარეობს, რომ დაკითხვა კონცენტრირებული იყო იმ მოვლენებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ოთხმოციანი წლების განმავლობაში. თუმცა დაკითხვის ბოლოს ნახსენებია, რომ იგი ოთხჯერ თუ ხუთჯერ იქნა ნაწამები. დასმულ კითხვაზე, რომელიც შეეხებოდა მის მოღვაწეობას *Front*-ში, ბ-ნმა კრუზ ვარასმა განაცხადა, რომ 1983 წელს გარკვეული დროის განმავლობაში კავშირი ჰქონდა ადამიანთან მეტსახელად „გორილა“, რომელსაც ეს მეტსახელი მისი გაბარიტებისა და ჭარბთმანობის გამო შეარქვეს. ჰექტორი იცნობდა გორილას სამოცდაათიანი წლებიდან, როდესაც ისინი ერთად იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას MIR-ის საქმიანობაში. როდესაც 10 წელიწადზე მეტი ხნის შემდეგ კვლავ შეხვდნენ, მაშინვე იცნეს ერთმანეთი. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ მშობელთა კრებაზე ვილა ალემანას სკოლაში, სადაც გორილას ქალიშვილები სწავლობდნენ.

...

გორილასთან შეხვედრამ სათავე დაუდო საბოტაჟურ საქმიანობას. გორილას მაღალი თანამდებობა ეკავა ქალაქის ენერგეტიკულ კოლეგიაში. ჰექტორს გააჩნდა ცოდნა ასაფეთქებელ ნივთიერებებთან დაკავშირებით, ვინაიდან მეშახტედ მუშაობდა. მათ ერთად გამოიყენეს ასაფეთქებელი მოწყობილობები, რათა მწყობრიდან გამოეყვანათ ქალაქის გარშემო არსებული გადამცემი სახეები. ისინი კარგად ავსებდნენ ერთმანეთს: გორილა მიუთითებდა სამიზნეებზე და გეგმავდა ოპერაციებს, ჰექტორი კი მოიპოვებდა ხოლმე დინამიტს სან სალვადორში გამგზავრების შედეგად, სადაც მას ბავშვობის ბევრი ამხანაგი ჰყავდა. მას შეეძლო ეყიდა დინამიტი თავისი მეგობრებისაგან, რომლებიც მუშაობდნენ მაღაროში. მაღაროში მომუშავე მუშებს ფარულად გამოჰქონდათ დინამიტი. ეს ყველაფერი 1986 წლამდე ხდებოდა.

ამის შემდეგ ჰექტორს აღარ მიუღია მონაწილეობა საბოტაჟში, რადგან გრძნობდა, რომ უთვალთვალებდნენ. თუმცა მას სჯერა, რომ გორილამ გააგრძელა მოღვაწეობა, რადგან მათ ჰქონდათ დინამიტის საკმაოდ დიდი მარაგი. მას შემდეგ, რაც ჰექტორმა შეწყვიტა ზემოხსენებული მოღვაწეობა, მან გაზეთების საშუალებით შეიტყო ელექტროგადამცემ ხაზებზე განხორციელებული საბოტაჟის შესახებ.

გორილა სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდა, დაეყოლიებინა ჰექტორი უფრო სრულყოფილი სახის სამხედრო ხასიათის პროექტების განხორციელებაზე. ისინი ხშირად განიხილავდნენ მოსახლეობის შეიარაღებისა და სკოლაში სამხედრო საწვრთნელი ბაზის გახსნის შესაძლებლობას, ადგენდნენ დეტალურ გეგმებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოეპოვებინათ იარაღი. ეს გეგმები იწყებოდა დისკუსიით იმის შესახებ, „თუ რა შეეძლო ნებისმიერ მათგანს გაეკეთებინა“... ისინი მსჯელობდნენ, თუ როგორ უნდა მიეტანათ იერიში კარაბინერების ყაზარმებზე. თავდასხმის მიზანი იქნებოდა სხვა სახის თავდასხმებში გამოსაყენებელი იარაღის მოპოვება. არც ერთი გეგმა არ განხორციელებულა, ვინაიდან 1983 წელს ჰექტორი დააკავეს. ამ დაკავებისას პოლიციამ მას მრავალი შეკითხვა დაუსვა, *inter alia*, იმ ადგილების შესახებ, რომლებიც უნდა გამხდარიყო თავდასხმის მონაწილეთა შეკრების ადგილები. კარაბინერების ყაზარმაზე თავდასხმა არ განხორციელებულა. ჰექტორმა შეიტყო, რომ თავდასხმა კარაბინერთა სხვა ყაზარმებზე განხორციელდა.

როდესაც ჰექტორს სთხოვეს, უფრო დეტალურად აღეწერა თავდასხმის გეგმა, მან განაცხადა, რომ მას და გორილას იარაღი უნდა წაეღოთ სასაფლაოზე და იქ ჩაეფლათ, ხოლო როდესაც შესაბამისი ჟამი დადგებოდა, იარაღს სხვა პირები ამოიღებდნენ.

გორილა არასოდეს ახსენებდა *Frente Patriótico Manuel Rodríguez*-ს სახელს, მაგრამ ჰექტორი ხვდებოდა, რომ გორილას ორგანიზაციაში ერთ-ერთი ცენტრალური თანამდებობა ეკავა. გორილამ მხოლოდ ის უთხრა, რომ იმ დროს კომუნისტურ პარტიაში მოღვაწეობდა. იმის მაგალითად, რომ გორილას ორგანიზაციაში ერთ-ერთი ცენტრალური თანამდებობა ეკავა, ჰექტორმა გაიხსენა, რომ პინოჩეტის მკვლელობის მცდელობამდე ცოტა ხნით ადრე გორილა შეეკითხა, შეძლებდა თუ არა სატვირთო მანქანის მართვას ძალიან მნიშვნელოვანი ოპერაციის მსვლელობისას. ჰექტორმა ყოყმანით უპასუხა და შეთავაზებაც აღარ განმეორებულა. მოვლენების განვითარების გახსენებისას ჰექტორმა გააანალიზა, რომ ეს სწორედ ის მანქანა შეიძლებოდა ყოფილიყო, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო მკვლელობის მცდელობისას.

ჰექტორს არ მიუღია მონაწილეობა რაიმე აშკარა სამხედრო ოპერაციაში. თუმცა ერთხელ მას მისცეს მითითება, მიეყვანა სატვირთო მანქანა გარკვეულ ადგილას. მას უნდა დაეყენებინა მანქანა და წამოეყვანა მეორე სატვირთო მანქანა. ამის გარდა, მისთვის არანაირი ინფორმაცია არ მიუციათ. თუმცა ეს გეგმა ჩავარდა უშიშროებასთან დაკავშირებული მიზეზით. ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ ჰექტორმა გაზეთში წაიკითხა, რომ აღმოჩენილი იქნა იარაღის სამალავი იმ ადგილთან ახლოს, სადაც მას სატვირთო მანქანა უნდა დაეყენებინა.

გორილასთან შეხვედრიდან რამდენიმე თვის შემდეგ ჰექტორი შემთხვევით შეხვდა თავის ძველ მეგობარს, რომელთან ერთადაც 1973-74 წლებში ქალაქ ლა სერენაში მუშაობდა წინააღმდეგობის ჯგუფში. მეგობარმა მაშინვე უთხრა, რომ პრობლემები ჰქონდა პოლიციასთან და ესაჭიროებოდა სამალავი. ჰექტორმა შესთავაზა მას საცხოვრებელი და ისინი ერთად გაემართნენ ჰექტორის სახლისაკენ. მოგვიანებით, სადამოს, მათ შეუერთდა ორი სხვა მეგობარი. სამივე პისტოლეტებით იყო შეიარაღებული. ჰექტორი ფიქრობდა რომ თვალი მოჰკრა ისეთი ტიპის ავტომატებსაც, რომლებსაც ჩილეს პოლიცია ხმარობდა.

ჰექტორმა ვერ გამოარკვია, თუ რატომ იმალებოდა მისი მეგობარი. როგორც ამ უკანასკნელმა უთხრა, უკეთესი იქნებოდა, თუ არაფერი ეცოდინებოდა. ერთ დღეს, სახლიდან გასვლისას, ჰექტორის მეგობარი დააკავეს. ჰექტორს ამის შესახებ შეატყობინა ნაცნობმა,

რომელსაც უნახავს მალეში მყოფ მეგობართან ერთად. დარჩენილი ორი კაცი მაშინვე გაიქცა და მიიმალა.

ამის შემდეგ პექტორი გადავიდა სანტიაგოში და თავს მშენებლობაზე მუშაობით ირჩენდა. იგი სანტიაგოში 1984 წლის სექტემბრიდან 1985 წლის დეკემბრამდე დარჩა. ყალბი მესაკუთრის საშუალებით მან გააქირავა თავისი სახლი და მიიღო ცნობა, რომ გაქირავებიდან სულ მალე მისი სახლი გაჩხრიკეს, რის შემდეგაც დამქირავებლები გადავიდნენ სახლიდან. ყალბი მესაკუთრის საშუალებით მოხერხდა სხვა დამქირავებლების პოვნა. ვინაიდან მის სახლში ჩხრეკა აღარ ჩატარებულა, პექტორმა იფიქრა, რომ მისთვის საშიში აღარ იყო ვილა ალემანაში დაბრუნება და 1985 წლის დეკემბერში დაბრუნდა კიდეც.

როდესაც მას დაუსვეს კითხვა უამრავ „შემთხვევით“ შეხვედრებზე იმ ადამიანებთან, რომლებიც სავარაუდოდ ეკუთვნოდნენ „ფრონტს“, პექტორმა უპასუხა, რომ ეს მასაც უკვირდა. გორილასთან დაკავშირებით იგი ამბობდა, რომ შეხვედრა ნამდვილი შემთხვევითობა იყო. მეორე მეგობართან დაკავშირებით პექტორი უფრო ყოყმანობდა. იგი ამბობდა, რომ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც შემთხვევითი შეხვედრა, ისე წინასწარ გათვლილი მცდელობა, რომელიც მიზნად ისახავდა მის უფრო მეტად დაკავშირებას ფრონტის მოღვაწეობასთან. პექტორი ფიქრობდა, რომ შესაძლოა, „ფრონტი“ მასში დაინტერესებულიყო ასაფეთქებელი ნივთიერებების შესახებ ცოდნისა და მოშორებით მდებარე სახლის ფლობის გამო.

როდესაც პექტორი ვილა ალემანაში დაბრუნდა, მან იგრძნო, რომ სხვადასხვა სახით უთვალთვალებდნენ. მისი თქმით, ხშირად ხვდებოდა სხვადასხვა მოვაჭრეებს, ვინც მასთან კონტაქტში შედიოდა.

...

ერთ-ერთი ჩვენი საუბრის დროს პექტორმა უეცრად განაცხადა, რომ „არსებობს რაღაც, რის შესახებაც მე არასოდეს მილაპარაკია და რასაც არასოდეს ვიტყვი“. მე დაჟინებით მოვთხოვე, მოეყოლა ეს რაღაც. ერთი საათი მაინც გრძელდებოდა ჩვენს შორის ფსიქოლოგიური ბრძოლა. მთელი დროის განმავლობაში ვცდილობდი, შემენარჩუნებინა ინიციატივა, რათა მეიძულებინა პექტორი, მოეთხრო თავისი საიდუმლო. პექტორი მყარად იდგა თავის პოზიციაზე და განაცხადა: „მე არასოდეს ვიტყვი ამას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამაძევებენ. მე ამას მხოლოდ აეროპორტში ვიტყვი“.

საბოლოოდ პექტორმა მითხრა, რომ დიდი ხნის განმავლობაში იგი ვერ აზროვნებდა და დიდი რაოდენობით იღებდა ანტიდეპრესანტებს. 1986 წელს წამების შემდეგ ნერვები ძალზე ცუდ მდგომარეობაში ჰქონდა და იმის გამო, რომ აღიარებდა მორმონულ აღმსარებლობას, მიმართა მორმონული ეკლესიის უმაღლეს პირს, დიდ პრეზიდენტს, და ყველაფერი მოუთხრო.

პექტორმა მოუთხრო მას გორილასთან კავშირის შესახებ, ასევე მორმონული ეკლესიის იმ ორი წევრის შესახებ, რომლებიც გორილას გააცნო. საუბარი რამდენიმეჯერ შედგა. პირველად ინიციატივა პექტორს ეკუთვნოდა და შესაბამისად ცოტა ინფორმაცია მიაწოდა დიდ პრეზიდენტს, შემდგომში ინიციატივა დიდმა პრეზიდენტმა აიღო და უფრო მეტი ინფორმაცია მოიპოვა.

1987 წლის იანვარში პექტორი დააკავეს და აწამეს. როდესაც მან დატოვა ის ადგილი, სადაც აწამეს, იგი შეეცადა, დაკავშირებოდა მორმონთა ეკლესიის ორ სხვა წევრს, მაგრამ ორივე გაუჩინარებულიყო. იგი შეეცადა, კავშირი დაემყარებინა გორილასთან, მაგრამ ისიც ვერ იპოვა. თავად პექტორს სწამს, რომ სამივე მოკლულია. იგი იმაშიც დარწმუნებულია, რომ ისინი დიდ პრეზიდენტთან მისი საუბრის შედეგად მოკლეს. პექტორს მიაჩნია, რომ მორმონული ეკლესიის ლიდერმა გამოიყენა მისი სისუსტეები და შეატყობინა მთავრობას მის და მისი მეგობრების შესახებ.

პექტორს არ შეუძლია ზუსტად თქვას, თუ როდის გაუჩინარდნენ სამივენი, მაგრამ ამბობს, რომ ბოლოს მათ 1986 წლის დეკემბერში შეხვდა. 1987 წლის იანვარში წამებამ, გორილასა

და ორი მორმონის სიკვდილში საკუთარი თავის დადანაშაულებასთან ერთად, ხელი შეუწყო ჰექტორის მიერ ჩილედან წასვლას“.

29. მთავრობის წარედგინა ვერბაგის საავადმყოფოს ექიმების მიერ შედგენილი, 1989 წლის 21 ივნისითა და 5 ოქტომბრით დათარიღებული სამედიცინო დასკვნები, რომლებიც ეხებოდა რიჩარდ კრუზ ვარასის (მესამე განმცხადებელი) მდგომარეობას. ხსენებული ცნობების თანახმად, რიჩარდს პიროვნული პრობლემები ჰქონდა და შვედეთიდან გაძევების შემთხვევაში აუცილებლად მიაღებოდა სერიოზული ფსიგოლოგიური ზიანი.

30. პირველმა განმცხადებელმა წარმოადგინა 1989 წლის 16 აგვისტოთი დათარიღებული წერილიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ჩრდილოეთ ქვეყნების ოფისიდან, რომლის თანახმადაც:

„...პირი, რომელიც დაექვემდებარა წამებას, უმეტეს შემთხვევებში როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქო-სომატურ განგრძობად შედეგებს განიცდის. ამიტომ წამების მსხვერპლისათვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისას ჩვენ არ უნდა ვიხელმძღვანელოთ არც დროის შეზღუდვით და არც წამების ხარისხით.“

31. 1989 წლის 5 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში იგივე ოფისი იუწყებოდა:

„აქედან გამომდინარე, ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ბ-ნი ჰექტორ კრუზ ვარასი ... დაცული უნდა იქნეს თავის სამშობლოში დაბრუნებისაგან; ბევრი სულიერი/ტრავმული/ადამიანური ასპექტის გარდა, ჩვენი აზრით, მოშველიებული უნდა იქნეს 1951 წლის ლტოლვილთა შესახებ კონვენცია, განსაკუთრებით კი 1984 წლის წამების შესახებ კონვენცია“.

32. 1989 წლის 4 ოქტომბერს ბ-ნი კრუზ ვარასი გადაყვანილი იქნა ციხეში ვარბერგის პოლიციის მიერ შრომის მინისტრის ბრძანების საფუძველზე. მეორე დღეს მთავრობამ (შრომის სამინისტრომ) გადაწყვიტა, რომ „უცხოელთა შესახებ კანონის“ 77-ე და მე-80 ნაწილების თანახმად არ არსებობდა არავითარი ხელისშემშლელი პირობა განმცხადებელთა გაძევების ბრძანების აღსასრულებლად.

33. 1989 წლის 6 ოქტომბერს კოლეგიამ გადაწყვიტა, არ შეეჩერებინა გაძევება და იმავე დღეს ბ-ნი კრუზ ვარასი გაძევებული იქნა ჩილეში, თუმცა მისი ცოლი და ვაჟი შვედეთში მიიმალნენ. მათი ამჟამინდელი ადგილმდებარეობა სასამართლოსათვის უცნობია.

ბ. ჩილეში პოლიტიკური სიტუაციის განვითარება

1988 წლის აგვისტოში გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა და ჩილედან გასახლებულ ან გაქცეულ პირებს 1988 წლის სექტემბერში მიეცათ უფლება, დაბრუნებულიყვნენ ჩილეში. 1988 წლის 5 ოქტომბერს ჩილელმა ხალხმა პლებისციტის საშუალებით ხმა მისცა გენერალ პინოჩეტის გადადგომას პრეზიდენტის თანამდებობიდან. პრეზიდენტისა და კონგრესის არჩევნები 1989 წლის დეკემბრისათვის დაინიშნა. მთავრობასა და ოპოზიციურ დაჯგუფებებს შორის წარმართული მოლაპარაკების შედეგად 1989 წლის 30 ივლისს ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის საშუალებითაც კონსტიტუციაში შეტანილი იქნა სხვადასხვა ცვლილება, *inter alia*, ისეთი ცვლილებები, რომლებიც ეხებოდა საპრეზიდენტო და კონგრესის არჩევნების უფრო დემოკრატიულად ჩატარებას და სამოქალაქო საზოგადოებაზე შეიარაღებული ძალების ზეგავლენის შესუსტებას.

1989 წლის 14 დეკემბერს ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, რომლის შედეგადაც პრეზიდენტად არჩეული იქნა ბ-ნი პატრიციო ალვინი, ქრისტიან დემოკრატთა ყოფილი ოპოზიციური პარტიისა და 17 პარტიისაგან შემდგარი ალიანსის „პარტიების კოალიცია დემოკრატიისათვის“ ლიდერი.

35. 1989 წლის აპრილში *Diario Oficial*-ში, ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნდა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (1966), რაც ნიშნავდა პაქტის შეტანას ქვეყნის სამართალში. 1988 წელს სახელმწიფომ ასევე მოახდინა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა თუ სასჯელის წინააღმდეგ გაერო-ს კონვენციის (1984) და წამების აკრძალვისა და დასჯის შესახებ ამერიკული კონვენციის (1985) რატიფიცირება. თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ორი უკანასკნელი კონვენციის რატიფიცირებისას სახელმწიფომ გარკვეული დათქმები გააკეთა.

1989 წლის ოქტომბერში ორგანიზაცია „Amnesty International“-ის მოხსენებაში დასახელდა სხვადასხვა საქმის ბევრი ისეთი დეტალი, რომელიც შეეხებოდა 1989 წლის განმავლობაში მომხდარ წამების სავარაუდო ფაქტებს.

ბ. შაქტაბი, რომლებსაც ალბილი ჰქონდათ ბაიკების შემდეგ

36. 1989 წლის 7 ოქტომბერს ბ-ნი კრუზ ვარასი ჩავიდა რიო დე ჟანეიროს აეროპორტში (ბრაზილია), სადაც უშედეგოდ ითხოვა თავშესაფარი. იგი დასვეს სანტიაგოსაკენ მიმავალ თვითმფრინავზე. სანტიაგოში იგი ჩავიდა 8 ოქტომბერს. მას არ გააჩნდა პირადობის არანაირი მოწმობა და ამიტომ, როდესაც საპასპორტო სამსახურის წინაშე წარდგა, იგი გაიყვანეს ცალკე და სურათი გადაუღეს. მას მოსთხოვეს, ხელი მოეწერა დეკლარაციისთვის, რომელიც ამტკიცებდა, რომ შვედეთში იგი იმყოფებოდა მატერიალური მდგომარეობის გამო და პირობას იძლეოდა, რომ არ ჩაებმებოდა ჩილეში პოლიტიკურ მოღვაწეობაში.

37. ბ-ნი კრუზ ვარასი დარჩა ჩილეში 1989 წლის 8 ოქტომბრიდან 29 ოქტომბრის ჩათვლით და დაბრუნდა თავის სახლში ვილა ალემანაში. 26 და 27 ოქტომბერს მან მონაწილეობა მიიღო პოლიტიკურ შეკრებებში, რომელთაგან უკანასკნელი გაიმართა პრეზიდენტობის კანდიდატ ბ-ნ ალვინის მხარდასაჭერად. კრუზ ვარასი ამტკიცებს, რომ მაშინ მას მიუახლოვდა უცნობი პირი და დაემუქრა მის ოჯახს ჩილეში. იგი აცხადებს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში მის ცოლის ძმას თავს დაესხნენ უცნობი პირები და მძიმედ დაჭრეს. კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლებმა გააჩერეს და გაჩხრიკეს განმცხადებლის ცოლის კიდევ ორი ძმა და შეკითხვები დაუსვეს კრუზ ვარასის შესახებ.

38. 1989 წლის 29 ოქტომბერს განმცხადებელმა დატოვა ჩილე, გადავიდა არგენტინაში და გარკვეული დროის განმავლობაში ბუენოს აირესში ცხოვრობდა. 1989 წლის 2 დეკემბერსა და 1990 წლის 7 მარტს კოლეგიამ უარყო ბ-ნი კრუზ ვარასის თხოვნები შვედეთში დაბრუნების ნებართვის თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მას შეეძლო დასწრებოდა სასამართლო განხილვას, მისი ამჟამინდელი ადგილსამყოფელი სასამართლოსათვის უცნობია.

დ. დოქტორ იაკობსონის ჩვენებები კომისიის წინაშე

39. 1989 წლის 7 დეკემბერს დოქტორ სტენ ვ. იაკობსონი მოწმის სახით წარდგა კომისიის წინაშე. მის მიერ წარმოდგენილი ჩვენებები დეტალურად არის შეჯამებული

კომისიის მოხსენების 49-ე-57-ე პუნქტებში. დოქტორი სტენ ვ. იაკობსონი არის სასამართლო მედიცინის ასოცირებული პროფესორი (დოცენტი) (*rättsmedicin*) კაროლინსკას ინსტიტუტში და ასევე მუშაობს წითელ ჯვარში, სადაც დახმარებას უწევს წამების მსხვერპლთ. დოქტორ იაკობსონს გააჩნია 20 წლის გამოცდილება შრომებისა და ჭრილობების შეფასებაში, იგი 1985 წლიდან მუშაობდა ჩილეში სავარაუდოდ განხორციელებული წამების ფაქტებზე.

40. დოქტორმა იაკობსონმა დაადასტურა, რომ არსებობდა იმის დიდი ალბათობა, რომ პირველი განმცხადებლის მონათხრობი შეესაბამებოდა სინამდვილეს, თუ მხედველობაში მივიღებთ მის ჭრილობებს (ლაფიწის ძვლის დაზიანება და დამწვრობის ნიშანი) და მისი რეაქციებს, როდესაც ჰყვებოდა თავის ამბავს. ბ-ნი კრუზ ვარასი საუბრობდა ძლიერი ზიზღით იმ სექსუალური ხასიათის წამების შესახებ, რომელიც მან გამოსცადა, და მოყოლის დროს ძლიერი ოფლი ასხამდა. დოქტორი იაკობსონი თვლიდა, რომ ასეთი რეაქცია მიანიშნებდა განცდების უტყუარობაზე. განმცხადებელი ასევე ამუღავნებდა დიდ შიშს ჩილეში დაბრუნებასთან დაკავშირებით. დოქტორმა იაკობსონმა აღნიშნა, რომ სექსუალური წამების მსხვერპლთ უმეტესად ისეთი ტრავმა ადგებათ, რომ მზად არ არიან, ილაპარაკონ ამაზე თავიანთ ქმრებთან და ცოლებთანაც კი.

2. სხვა დოკუმენტური მტკიცებულებანი

41. ბ-ნი კრუზ ვარასის გაძევების შემდეგ მთავრობამ წარმოადგინა 1990 წლის 2 იანვრით დათარიღებული მემორანდუმი სანტიაგოში შვედეთის საელჩოდან. ეს მემორანდუმი შეიცავს მოხსენებას იმ მოკვლევასთან დაკავშირებით, რომელიც ჩატარდა შრომის სამინისტროდან წარმართული მოთხოვნის საფუძველზე. აღნიშნული მოთხოვნა ეხებოდა იმ ინფორმაციის მოწოდებას, რომელიც დაკავშირებული იყო ბ-ნი კრუზ ვარასის შესაძლო პოლიტიკურ საქმიანობასა და მის მიმართ ნებისმიერ პოლიტიკურ დევნას. მოკვლევა განხორციელდა 1989 წლის 20 დეკემბერს ქ-ნი ჯენი მალმკვისტის, საელჩოს მეორე მდივნის, მიერ ვილა ალემანაში ვიზიტის დროს. ვიზიტის მსვლელობისას ქ-ნ მალმკვისტს თან ახლდა, *inter alia*, ვალპარაისოს ადამიანის უფლებათა კომისიის პრეზიდენტი. მოხსენების თანახმად, პოლიტიკური პარტიების ყველა დაკითხულმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არ იცნობდა ბ-ნ კრუზ ვარასს. გამოკითხულმა მეზობლებმა განაცხადეს, რომ იცნობდნენ მას, მაგრამ არავითარი ინფორმაცია არ გააჩნდათ მის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

ზემოხსენებულის დასასაბუთებლად მთავრობამ წარმოადგინა წერილობითი ჩვენებებიც *Partido Radical*-ისგან, *Partido Socialista*-სგან და *Partido Comunista*-სგან.

42. რაც შეეხება შესაძლო პოლიტიკურ დევნას, მთავრობამ წარმოადგინა ვილა ალემანას ადამიანის უფლებათა კომისიის პრეზიდენტის ქ-ნი მარია ტერეზა ოვალეს წერილობითი ჩვენება, რომელიც შვედეთის საელჩომ სანტიაგოში მოიპოვა. წერილობითი ჩვენებიდან ნათლად ჩანს, რომ ბ-ნი კრუზ ვარასი ცნობილი არ არის კომისიისათვის და, შესაბამისად, არც მის წინააღმდეგ რაიმე დევნაა მისთვის ცნობილი. წერილობითი ჩვენების თანახმად, კომისიას დაფიქსირებული აქვს ყველა იმ პირის მონაცემები, რომლებიც 1982 წლიდან მოყოლებული გაუჩინარდნენ, რომლებიც აწამეს და პატიმრობაში აიყვანეს ჩილეს მე-5 რეგიონში.

43. სასამართლოში წარმოებული სამართალწარმოების დროს მთავრობამ წარმოადგინა 1990 წლის 8 ოქტომბრით დათარიღებული შემდგომი წერილობითი ჩვენებები ქ-ნი ოვალესაგან. ამ ჩვენებებში ქ-ნი ოვალე აცხადებდა, *inter alia*, რომ ბ-ნ კრუზ ვარასს არავითარი კავშირი არ ჰქონია რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან ან პროფესიულ

კავშირთან, არავითარი განცხადება არ არის რეგისტრირებული ვილა ალემანას ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ ბ-ნი კრუზ ვარასის პატიმრობასთან დაკავშირებით, რომ ყველა იმ ადამიანის განცხადების თანახმად, ვინც კი დაიკითხა იმ რაიონში, სადაც განმცხადებელი ცხოვრობდა, იგი არასდროს ყოფილა აქტიურად ჩაბმული პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ ყველა იმ პირის დაკითხვის შედეგად, რომლებიც მონაწილეობდნენ არალეგალურ ღონისძიებებში, გამოირკვა, რომ იგი არ არის მათთვის ცნობილი, კრუზ ვარასი არც ვალპარაისოს ციხეში მყოფი იმ პატიმრებისათვის არის ცნობილი, რომლებიც ანალოგიური ქმედებებისათვის იმყოფებოდნენ პატიმრობაში, რომ არაფერია ცნობილი ვილა ალემანაში 1983-1986 წლებში რკინიგზის ან ელექტროგადამცემი ხაზების აფეთქების შესახებ, როგორც ამას ამტკიცებდა პირველი განმცხადებელი; რომ იგი არ არის ცნობილი ქუილპუეში მდებარე ადამიანის უფლებათა სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის.

მთავრობამ ასევე წარმოადგინა *FPMR*-ის ეროვნული კოლეგიის 1990 წლის 8 ოქტომბრით დათარიღებული წერილობითი ჩვენება, რომლის თანახმად ბ-ნი კრუზ ვარასი არ იყო ორგანიზაციის წარმომადგენელი საზღვარგარეთ და რომ იგი არ არის და არც ყოფილა *FPMR*-ის მებრძოლი წევრი. კოლეგიამ უარყო, აგრეთვე, მისი პასუხისმგებლობა ნებისმიერი აქციისათვის, რომელიც კრუზ ვარასს *FPMR*-ის სახელით შეიძლებოდა ჰქონოდა განხორციელებული.

44. განმცხადებლებს წარმოდგენილი აქვთ სამედიცინო დასკვნა, რომელიც შედგენილია დოქტორ მარიანო კასტექსის (ბუენოს აირესის უნივერსიტეტის ფსიქიატრიის პროფესორი) მიერ და ეხებოდა პირველი განმცხადებლის გასინჯვას 1990 წლის თებერვალში. დასკვნაში ნათქვამი იყო:

„დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბ-ნი კრუზ ვარასი განიცდის სერიოზულ „ტრავმისშემდგომ სტრესულ მოშლილობას“, რომელიც მას განუვითარდა ჩილეში წარსულ წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად. ძლიერმა დაუცველობამ და სამშობლოში დაბრუნებამ დაამძიმეს მისი სულიერი მდგომარეობა და თუ მისი ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული მკურნალობისათვის შესაბამისი გარემო არ შეიქმნება, მას შეიძლება დაემუქროს სულიერი მოშლილობის გაუარესება გაუთვალისწინებელი შედეგებით არა მარტო მისთვის, არამედ მისი ცოლისა და ბავშვისათვისაც, ამ უკანასკნელს კი ძალიან სჭირდება მამა, რაც ნათლად ჩანს ბავშვთან დაკავშირებული დასკვნის ყურადღებით წაკითხვისას.“

45. 1990 წლის 9 ოქტომბრით დათარიღებული კიდევ ერთი ფსიქიატრიული დასკვნა შეადგინა დოქტორმა სონდერგაარდმა 1990 წლის სექტემბერში განმცხადებლის დეტალურად გასინჯვის შემდეგ. დასკვნის თანახმად, პირველმა განმცხადებელმა სავარაუდოდ განიცადა „კატასტროფული ზომის სტრესული შემთხვევა“. დოქტორმა სონდერგაარდმა დაასკვნა, რომ განმცხადებელს „ტრავმისშემდგომი ნერვული მოშლილობის აშკარა ნიშნები“ აღენიშნება.

46. განმცხადებლებმა ასევე წარმოადგინეს შემდეგი დოკუმენტები:

- ჩილეს უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ყოფილი პროფესორის მარსელო ფერადანოლის, ამჟამად სტოკჰოლმის კაროლინსკას ინსტიტუტის მაძიებლის დასკვნა (დათარიღებული 1990 წლის 18 იანვრით), რომელშიც იგი მიანიშნებდა, რომ პირველმა განმცხადებელმა შესაძლოა თავისი პრობლემებისაგან თავის დასაღწევი გზა თვითმკვლელობაში იპოვოს;

- სერჯიო ბუშმანის (FPMR-ის წარმომადგენელი ევროპაში) 1990 წლის 20 ოქტომბრით დათარიღებული წერილი, რომლის თანახმადაც ჩილეში საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში არა მარტო FPMR-ის წევრები იგდებდნენ, არამედ ისინიც, ვინც ორგანიზაციასთან თანამშრომლობდა. სერჯიო ბუშმანმა ისიც განაცხადა, რომ FPMR-ის წევრებისათვის არსებული რეჟიმის დროსაც კი არსებობდა წამების, დაპატიმრებისა თუ მკვლელობის საფრთხე;
- 1984 წლის 17 ოქტომბრით დათარიღებული, ჩილეში გამოცემული გაზეთის ამონაჭერი, რომელიც აღწერდა ვილა ალემანადან 10 კილომეტრის დაშორებით ელექტროგადამცემი ხაზის აფეთქების მცდელობას;
- 1990 წლის 26 სექტემბრით დათარიღებული წერილი მესამე განმცხადებლის საბავშვო ბაღის მომსახურე პერსონალისაგან, რომლის თანახმადაც ბავშვის შვედეთიდან გაძევებამ შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი გამოიწვიოს.

II. შესაბამისი სამართალი და პრაქტიკა

ა. შიდა სამართალი

47. 1980 წლის „კანონი უცხოელთა შესახებ“ და „ბრძანებულება უცხოელთა შესახებ“ ძალაში იყო 1989 წლის 1 ივლისამდე, როდესაც ძალაში შევიდა 1989 წლის „კანონი უცხოელთა შესახებ“. ახალი „ბრძანებულება უცხოელთა შესახებ“ 1989 წლის კანონის საფუძველზე შემუშავდა.

1980 წლის კანონის თანახმად, კოლეგიის მიერ გაძევების გადაწყვეტილება შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო მთავრობის წინაშე, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოო იქნებოდა. მთავრობის გადაწყვეტილება აღსასრულებლად პოლიციას გადაეცემოდა. იმ შემთხვევაში, თუ უცხოელი განაცხადებდა, *inter alia*, რომ იგი დაექვემდებარებოდა პოლიტიკურ დევნას ან გაგზავნილი იქნებოდა საომარი მოქმედებების ადგილას, საქმე გადაეცემოდა კოლეგიას (85-ე და 86-ე ნაწილები), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჩივრები აბსოლუტურად დაუსაბუთებელი იყო ან არ იმსახურებდა არსებით განხილვას. იმ შემთხვევაში, თუ პოლიცია გადაწყვეტდა, არ გადაეცა ეს საკითხი განსახილველად კოლეგიისათვის, აპელაციის შეტანა შეიძლებოდა კოლეგიაში. თუ კოლეგია გამოიტანდა გადაწყვეტილებას უცხოელის წინააღმდეგ, გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლებოდა მთავრობის წინაშე.

48. 1989 წლის კანონის თანახმად, კომპეტენტურ ორგანოებს, გაძევების საკითხის გადაწყვეტასთან ერთად, ევალებათ, განიხილონ ის გარემოებები, რომლებიც შეიძლება ხელს უშლიდეს გაძევების ბრძანების აღსრულებას.

49. 1989 წლის კანონი შეიცავს გარდამავალ წესებს, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს იმ საქმეებთან მიმართებაში, რომლებიც წარმოდგენილი იქნა 1989 წლის 1 ივლისამდე. ასეთ საქმეებში ისევ მოქმედებდა პროცედურები, რომლებიც გამოიყენებოდა 1980 წლის კანონში.

50. 1980 წლის „უცხოელთა შესახებ კანონის“ მე-3 ნაწილის თანახმად:

„ლტოლვილს სერიოზული მიზეზების გარეშე არ შეიძლება უარი ეთქვას შვედეთში თავშესაფარზე, როდესაც მას ესაჭიროება ასეთი დაცვა.“

ამ კანონის მიზნებისათვის, ღტოლვილი არის პირი, რომელიც იმყოფება თავისი სამშობლოს საზღვრებს გარეთ და აქვს რასობრივი, ეროვნული კუთვნილების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან რელიგიური თუ პოლიტიკური მრწამსის გამო დევნის დასაბუთებული შიში, და რომელსაც არ შეუძლია ან ასეთი შიშის გამო არ სურს ისარგებლოს იმ ქვეყნის მფარველობით. პირი, რომელსაც არ გააჩნია სამშობლო და იმავე მიზეზებით იმყოფება იმ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რომელშიც იგი ცხოვრობდა და რომელსაც არ შეუძლია ან არ სურს ასეთი შიშის გამო დაბრუნდეს ამ ქვეყანაში, მიჩნეული უნდა იქნეს ღტოლვილად.

ამ კანონის მიზნებისათვის წინამდებარე ნაწილის მე-2 პუნქტის თანახმად დევნა განისაზღვრება, როგორც უცხოელის სიცოცხლის ან თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული ან სხვაგვარი სასტიკი ხასიათის ქმედება (პოლიტიკური დევნა).“

1980 წლის კანონის სხვა შესაბამისი დებულებების თანახმად:

მე-6 ნაწილი:

„უცხოელს, რომელიც არ სარგებლობს ღტოლვილის სტატუსით და პოლიტიკური სიტუაციის გამო არ სურს დაბრუნდეს თავის სამშობლოში და შეუძლია წარმოადგინოს მყარი არგუმენტაცია არდაბრუნების დასაბუთებლად, არ უნდა ეთქვას უარი ქვეყანაში დარჩენის ნებართვაზე, თუკი მას სჭირდება აქ დაცვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უარის თქმისათვის განსაკუთრებული მიზეზები არსებობს.“

38-ე ნაწილი

„უცხოელი შეიძლება გაძევებული იქნეს ქვეყნიდან, თუკი იგი ცხოვრობს პასპორტის ან შეედეთში ცხოვრებისათვის საჭირო ნებართვის გარეშე.

გაძევების ბრძანებები უნდა გასცენ ეროვნულმა საიმმიგრაციო კოლეგიებმა, როგორც ეს განსაზღვრულია 1-ლ პუნქტში. იმ შემთხვევაში, თუკი თხოვნა ცხოვრების ნებართვაზე უარყოფილი იქნება, ეროვნულმა საიმმიგრაციო კოლეგიამ უნდა გამოსცეს გაძევების ბრძანება, თუკი არ არსებობს ამის საწინააღმდეგო ძლიერი არგუმენტაცია.“

77-ე ნაწილი

„როდესაც შესვლაზე უარის თქმა ან გაძევების ბრძანება ხორციელდება, უცხოელი არ შეიძლება გადაგზავნილი იქნეს ქვეყანაში, სადაც მას ემუქრება პოლიტიკური დევნის საფრთხე. უცხოელის გადაგზავნა არ შეიძლება ასევე იმ ქვეყანაში, სადაც იგი არ არის დაცული იმისგან, რომ გადაგზავნილი იქნება იმ ქვეყანაში, სადაც მას ასეთი დევნა ემუქრება.“

მე-80 ნაწილი

„მე-6 ნაწილში მითითებული უცხოელი, რომელიც წარმოადგენს სერიოზულ მიზეზებს, რათა არ იქნეს გადაგზავნილი თავის სამშობლოში, არ შეიძლება ქვეყანაში შესვლაზე უარის თქმის ან გაძევების განხორციელებისას გადაგზავნილი იქნეს ამ ქვეყანაში ან ქვეყანაში, რომელშიც მას ემუქრება სამშობლოში გადაგზავნის საფრთხე.“

1980 წლის „უცხოელთა შესახებ კანონის“ 33-ე ნაწილის თანახმად:

„უცხოელს, რომელსაც სურს დამკვიდრდეს ამ ქვეყანაში ან სხვა რაიმე მიზეზით დარჩეს აქ იმ ვადაზე მეტი ხნით, რაც მითითებულია 30-ე ნაწილის 1-ლ პუნქტში, ეკრძალება შეედეთში შესვლა, თუკი მას არ აქვს მოპოვებული ცხოვრების ნებართვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

1. 30-ე ნაწილის მე-2 პუნქტის თანახმად, იგი გათავისუფლებულია ცხოვრების ნებართვის მოთხოვნისაგან;
2. იგი წარმოადგენს იმ უცხოელს, რომელიც მითითებულია „უცხოელთა შესახებ კანონის“ მე-3, მე-5 ან მე-6 ნაწილებში (1980:376);

3. მას სურს შეუერთდეს ახლო ნათესავს, რომელიც მუდმივად ცხოვრობს შვედეთში და რომელთან ერთადაც იგი უწინ ცხოვრობდა საზღვარგარეთ; ან
4. არსებობს სხვა გამონაკლისი მნიშვნელოვანი მიზეზი, თუ რატომ უნდა დაერთოს მას ქვეყანაში შესვლის ნებართვა.

უცხოელს, რომელიც შვედეთის ტერიტორიაზე შევიდა საცხოვრებელი ნებართვის გარეშე ან მხოლოდ დროებითი დარჩენის ნებართვით, არ შეიძლება მიეცეს ასეთი ნებართვა მანამდე, სანამ ის იმყოფება ამ ქვეყანაში, ანდა შვედეთში წარდგენილი მომართვის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც აღწერილია ამ ნაწილის 1-ლ პუნქტში, მე-2-მე-4 ქვეპუნქტებში. მიუხედავად ზემოხსენებულისა, უცხოელს, რომელიც შემოვიდა შვედეთში როგორც ტურისტი და გააჩნია არსებითი მიზეზები ვიზიტის გასაგრძელებლად, შეიძლება მიენიჭოს ცხოვრების ნებართვა განსაზღვრული პერიოდით.“

51. 1973 წლის შემდეგ შვედეთმა მიიღო დაახლოებით 30 000-მდე ჩილეს მოქალაქე, რომელთა უმეტესობას მისცა თავშესაფარი. 1989 წლის 1 იანვრიდან კი ჩილედან ჩამოსულ პირებს მოეთხოვათ, ჰქონოდათ ვიზები. პოლიტიკური სიტუაციის განვითარების გამო 1988-1989 წლებში ზოგიერთი ლტოლვილი ნებაყოფლობით დაბრუნდა, რათა მონაწილეობა მიეღო პოლიტიკურ საქმიანობაში.

ბ. კომისიის საპროცედურო რეგლამენტის 36-ე მუხლის თანახმად კომისიის მიერ განხორციელებული პროცედურა

52. კომისიის საპროცედურო რეგლამენტის 36-ე მუხლის თანახმად:

„კომისიას, ხოლო როდესაც ეს უკანასკნელი არ მართავს სესიებს, პრეზიდენტს შეუძლია მიუთითოს მხარეებს დროებითი ღონისძიების მიღების შესახებ, რაც სასურველი იქნებოდა მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე ან მის წინაშე სამართალწარმოების ჯეროვნად განხორციელების მიზნით.“

53. მითითება 36-ე მუხლის საფუძველზე კეთდება მხოლოდ მაშინ, როდესაც წარმოჩინდება, რომ გასაჩივრებული ღონისძიების განხორციელებას გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვება. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევებში, როდესაც გაძევება ან ექსტრადირება გარდაუვალია და განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მის მიმართ განხორციელდება კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების საწინააღმდეგო ქმედებები იმ სახელმწიფოში, რომელშიც ხდება მისი გაძევება ან ექსტრადირება. ჩვეულებრივ, 36-ე მუხლი გამოიყენება მხოლოდ კონვენციის ამ სახის სავარაუდო დარღვევებთან მიმართებაში. ამას გარდა, გარკვეულწილად უნდა არსებობდეს იმის ალბათობა, რომ კონკრეტულ სახელმწიფოში გაგზავნის შედეგად პირი დაექვემდებარება ამ დებულებათა საწინააღმდეგო მოპყრობას. ასე რომ, მტკიცებულებები წარმოდგენილი უნდა იქნეს კომისიის წინაშე, რომელიც შეაფასებს ასეთი რისკის არსებობას.

54. როდესაც განაცხადში მოთხოვნილია დროებითი ღონისძიების გამოყენება, იგი სასწრაფოდ წარედგინება კომისიას ან პრეზიდენტს, ან პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს, თუკი კომისია არ ატარებს სესიებს. 36-ე მუხლის საფუძველზე მითითება ყოველთვის გარკვეული დროით არის შემოფარგლული. თუკი გადაწყვეტილება გამოტანილია პრეზიდენტის ან პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მიერ, მითითება შემოიფარგლება კომისიის მომდევნო შეკრებამდე. თუ იგი მიღებულია კომისიის მიერ, იგი ჩვეულებრივ შემოიფარგლება შემდგომ სხდომამდე.

55. როდესაც კომისია ან პრეზიდენტი მიმართავს 36-ე მუხლს, კომისიის მდივანი ტელეფონით აცნობებს მხარეებს გადაწყვეტილების შესახებ და სატელეფონო საუბარს ფოსტით ან ფაქსით დაადასტურებს. პირველი განმცხადებლის გაძევების დროს

კომისიის წინაშე წარმოდგენილი იყო 182 განაცხადი გაძევების საქმეებში (ექსტრადიციის საქმეების საპირისპიროდ) დროებითი ღონისძიების მოთხოვნით. 31 ასეთ საქმეში ხელშემკვრელ სახელმწიფოებს 36-ე მუხლის შესაბამისად მიეცათ მითითება, რომელიც შესრულებული იქნა. რამდენიმე საქმეში, რომლებიც ეხებოდა ექტრადირებას, სახელმწიფო არ დაემორჩილა 36-ე მუხლის შესაბამისად გაკეთებულ მითითებას.

III. სამართალწარმოება კომისიაში

ა. წინამდებარე საქმეში კომისიის მიერ 36-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებული მითითება

56. განაცხადი კომისიას წარედგინა 1989 წლის 5 ოქტომბერს და რეგისტრაციაში გატარდა იმავე დღეს. 1989 წლის 6 ოქტომბერს დილის 9 საათზე კომისიამ გადაწყვიტა საპროცედურო რეგლამენტის 36-ე მუხლის გამოყენება:

„კომისიამ ... გადაწყვიტა ... მიუთითოს შვედეთის მთავრობას ..., რომ მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე და კომისიის წინაშე სამართალწარმოების ჯეროვნად წარმართვის მიზნით არ არის სასურველი განმცხადებელთა დეპორტირება ჩილეში, სანამ კომისიას არ ექნება საშუალება, განიხილოს განაცხადი მომავალ სხდომაზე, რომელიც უნდა გაიმართოს 1989 წლის 6-10 ნოემბერს.“

57. მთავრობის წარმომადგენელს კომისიის გადაწყვეტილება იმავე დღეს 09:10 საათზე შეატყობინეს. 12 საათზე კომისიამ ხსენებული მითითება ფაქსით დაადასტურა.

58. კომისიის გადაწყვეტილების შესახებ შრომის სამინისტროს ოფიციალურ პირებს 6 ოქტომბერს 09:20 საათზე შეატყობინეს. საკითხი მინისტრს 12:45 საათზე წარედგინა. თუმცა, მთავრობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მინისტრს არ შეეძლო ელონა რაიმე, რადგან საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო მთავრობის მიერ და კოლეგიაში იხილებოდა.

59. იმავე დღეს ბ-ნი კრუზ ვარასის მოთხოვნის საფუძველზე კოლეგიამ გადაწყვიტა, აღარ გადაედო გაძევების აღსრულება. ამ დროისათვის კოლეგიისათვის უკვე ცნობილი იყო წინამდებარე განაცხადისა და კომისიის მიერ 36-ე მუხლის შესაბამისად გაკეთებული მითითების შესახებ.

60. ბ-ნი კრუზ ვარასი გაძევებული იქნა ჩილეში 1989 წლის 6 ოქტომბერს 16:40 საათზე. მისი მეუღლე და ვაჟი შვედეთში მიიმალნენ.

61. 1989 წლის 9 ნოემბერს კომისიამ საპროცედურო რეგლამენტის 36-ე მუხლის თანახმად გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

„განიხილა რა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, კომისიამ გადაწყვიტა, საპროცედურო რეგლამენტის 36-ე მუხლის თანახმად მიუთითოს მთავრობას, რომ მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე და კომისიის წინაშე სამართალწარმოების ჯეროვნად წარმართვის მიზნით არ მოახდინოს რომელიმე განმცხადებლის, რომელიც ამ დროისათვის შვედეთში იმყოფება, ჩილეში დეპორტირება, სანამ კომისიას ექნება შესაძლებლობა, განიხილოს განაცხადი მომავალ სხდომაზე, რომელიც გაიმართება 1989 წლის 4-15 დეკემბერს. ბ-ნი კრუზ ვარასთან დაკავშირებით კომისიამ, გამომდინარე იქიდან, რომ მთავრობა არ დაემორჩილა ადრე გაკეთებულ მითითებას მის ჩილეში არგაძევებასთან დაკავშირებით, ახლა მიუთითებს, რომ მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე და კომისიის წინაშე სამართალწარმოების ჯეროვნად წარმართვის მიზნით, მთავრობამ გაატაროს ღონისძიებები, რომლებიც შესაძლებელს გახდის განმცხადებლის დაბრუნებას შვედეთში უახლოეს ხანში.“

62. 1989 წლის 22 ნოემბრით დათარიღებული წერილით მთავრობამ აცნობა კომისიას, რომ პირველი განმცხადებლის თხოვნა შევდეთში შესვლასა და დარჩენაზე განხილული იქნებოდა კოლეგიის მიერ და რომ ქ-ნი ბუსტამენტო ლაზოსა და რიჩარდ კრუზის ქვეყნიდან გაძევების ბრძანების აღსრულების საკითხი კვლავაც მიმდინარეობდა კოლეგიის წინაშე. შესაბამისად, 1989 წლის 16 ნოემბერს მთავრობამ გადაწყვიტა, ეცნობებინა კოლეგიისათვის 36-ე მუხლის შესაბამისად გაკეთებული მითითების შესახებ.

63. 1989 წლის 7 დეკემბრის მოსმენის შედეგად კომისიამ გადაწყვიტა, ძალაში დაეტოვებინა საპროცედურო რეგლამენტის 36-ე მუხლის შესაბამისად გაკეთებული მითითება, რომ მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე და კომისიის წინაშე სამართალწარმოების ჯეროვნად წარმართვის მიზნით არ მოეხდინა მეორე და მესამე განმცხადებლის დეპორტირება ჩილეში და გაეტარებინა ღონისძიებები, რომლებიც შესაძლებელს გახდიდა განმცხადებლის შევდეთში დაბრუნებას უახლოეს ხანში.

64. 1990 წლის 7 ივნისს კომისიამ თავისი მოხსენების შედეგის შემდეგ გადაწყვიტა, აღარ გაეგრძელებინა 36-ე მუხლის თანახმად გაკეთებული მითითება.

ბ. განაცხადის განხილვა კომისიის მიერ

65. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ პირველი განმცხადებლის გაძევება წარმოადგენდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, ვინაიდან არსებობდა იმის საფრთხე, რომ მას ხელისუფლების წარმომადგენლები აწამებდნენ. ისინი ასევე ჩიოდნენ, რომ მესამე განმცხადებლის გაძევება გამოიწვევდა მე-3 მუხლის დარღვევას. გარდა ამისა, ისინი ჩიოდნენ, რომ ოჯახის დანაწევრება წარმოადგენდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. განმცხადებლები მიუთითებდნენ კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლების დარღვევაზე.

66. 1989 წლის 7 დეკემბერს განაცხადი არსებით განხილვაზე დაშვებულად გამოცხადდა კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით, ხოლო დაუშვებლად – კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით. კომისიამ ასევე გადაწყვიტა, კვლავ ემსჯელა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა მთავრობის მიერ 36-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებული მითითებების დაუმორჩილებლობას.

მოხსენებაში, რომელიც მომზადდა 1990 წლის 7 ივნისს (31-ე მუხლი), კომისიამ გამოთქვა თავისი აზრი, რომ ადგილი არ ჰქონია მე-3 მუხლის (რვა ხმით ხუთის წინააღმდეგ) და მე-8 მუხლის (ერთხმად) დარღვევას, მაგრამ ადგილი ჰქონდა 25-ე მუხლის დარღვევას (თორმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ) იმის გამო, რომ მთავრობა არ დაემორჩილა კომისიის მიერ 36-ე მუხლის შესაბამისად გაკეთებულ თხოვნას, არ გაეძევებინა განმცხადებელი. კომისიის მოსაზრების მთელი ტექსტი და განსხვავებული მოსაზრებები, რომლებიც მოხსენებაშია ჩართული, თან ერთვის განაჩენს დანართის სახით.⁴

მხარეების მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი საბოლოო არგუმენტაცია

⁴ რეგისტრატორის მიერ გაკეთებული შენიშვნა. პრაქტიკული მიზეზების გამო დანართი წარმოდგენილი იქნება მხოლოდ განაჩენის დაბეჭდილ ვერსიასთან ერთად (სასამართლოს პუბლიკაციების სერია A, ტომი 201). კომისიის მოხსენების ასლის მიღება რეგისტრატურაშია შესაძლებელია.

67. 1990 წლის 22 ოქტომბერს გამართულ საჯარო მოსმენაზე მთავრობამ გაიმეორა დასკვნითი არგუმენტაცია, ასახული მთავრობის მემორანდუმში, რომელშიც მთავრობა თხოვნით მიმართავდა სასამართლოს, დაედგინა, „რომ წინამდებარე საქმეში ადგილი არ ჰქონია კონვენციის დარღვევას.“

სამართალი

I. მე-3 მუხლის საგარეუდო დარღვევა

68. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ ბ-ნი კრუზ ვარასის ჩილეში ექსტრადირება წარმოადგენდა კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედებას, რადგან არსებობდა იმის საფრთხე, რომ მას ჩილეს ხელისუფლების წარმომადგენლები აწამებდნენ, ასევე იმ ტრაემის გამო, რომელიც მან გადაიტანა სამშობლოში (სადაც იგი წინათ დაექვემდებარა წამებას) დაბრუნების გამო. განმცხადებლები ასევე ჩიოდნენ, რომ მესამე განმცხადებლის (რიჩარდის) გაძევება გამოიწვევდა ისეთ მდგომარეობას, რომელიც ჩაითვლება აღნიშნული დებულების დარღვევად. ამ დებულების თანახმად:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ თუ დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს.“

ა. მე-3 მუხლის გამოყენება ბაჰამების საქმეებში

69. 1989 წლის 7 ივლისს *Soering*-ის საქმეზე გამოტანილ განაჩენში სასამართლომ დაადგინა, რომ ხელშემკერელი სახელმწიფოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, მოეხდინა მიმალვაში მყოფი პირის ექსტრადირება, შესაძლოა წარმოშვას მე-3 მუხლის დარღვევის საკითხი და, აქედან გამომდინარე, კონვენციის თანახმად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი იქნა არსებითი დასაბუთება იმისა, რომ მომთხოვნ სახელმწიფოში ექსტრადირების შემთხვევაში შესაბამის პირს ემუქრება წამების, არაადამიანური მოპყრობისა თუ დასჯის საფრთხე (სერია A №161, გვ. 35, პუნქტი 91).

თუმცა ასეთი პასუხისმგებლობის დადგენა მოიცავს ექსტრადიციის მომთხოვნ სახელმწიფოში არსებული პირობებისა და სტანდარტების შეფასებას, აქ არ დგას მიმღები სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ზოგადი საერთაშორისო სამართლით, კონვენციით თუ სხვაგვარად განსჯის ან დადგენის საკითხი. გამომდინარე იქიდან, რომ კონვენციის საფუძველზე ნაკისრი პასუხისმგებლობა არსებობს ან შესაძლოა წარმოიშვას, ეს არის პასუხისმგებლობა, რომელსაც თავის თავზე იღებს ექსტრადიციის განმახორციელებელი სახელმწიფო იმ მიზეზით, რომ სწორედ ის ახორციელებს ისეთ ქმედებებს, რომლის პირდაპირი შედეგიც შეიძლება იყოს პირის დაქვემდებარება აკრძალული მოპყრობისადმი (იხ. იქვე გვ. 36, პუნქტი 91).

70. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე საქმე ეხება გაძევების, და არა ექსტრადირების, გადაწყვეტილებას, სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოხსენებული პრინციპი გამოიყენება გაძევების გადაწყვეტილებებთან მიმართებაშიც და იმავე სახით რეალური გაძევების საქმეებზეც.

ბ. მე-3 მუხლის გამოყენება წინამდებარე საქმის ბარემოებებში

1. სასამართლოს წინაშე წარმდგარ პირთა არგუმენტაცია

71. პირველი განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ იგი ჩილეში მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა არალეგალურ და ძირგამომთხრელ პოლიტიკურ ქმედებებში *FPMR*-თან თანამშრომლობით, მაგრამ არა როგორც მისი წევრი. ამის გამო იგი რამდენიმეჯერ დააკავა და აწამა ჩილეს პოლიციამ. პირველი განმცხადებელი ჩიოდა, რომ მისი ადრინდელი ქმედებების გამო გაძევება ემუქრებოდა საფრთხით, რომ ჩილეში (სადაც წამება ისევ გავრცელებული იყო) დაბრუნების შემდეგ მას ისევ დააკავებდნენ და აწამებდნენ.

გარდა ამისა, პირველი განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სამედიცინო დასკვნები ასაბუთებდა მის საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ იგი აწამეს წარსულში და რომ იგი განიცდიდა ტრავმისშემდგომ ნერვულ მოშლილობას, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ განცდილთან. პირველი განმცხადებლის აზრით, პოლიტიკურ და არალეგალურ საქმიანობასთან დაკავშირებით მის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის ფაქტი, რომ თავშესაფრის მაძიებლებს ძალიან იშვიათად შეუძლიათ ასეთ შემთხვევებთან დაკავშირებით დოკუმენტური მტკიცებულებების წარდგენა. მართლაც, მისი ქმედებები ისეთი ხასიათის იყო, რომ ისინი არ შეიძლება დასაბუთებული იქნეს დოკუმენტური მტკიცებულებებით. სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ ფაქტზეც, რომ მათ, ვინც წამება გამოსცადა, შესაძლოა ემინოდეთ ნებისმიერი ხელისუფლების, ემინოდეთ, აგრეთვე, თავისი საქმის სრული და ზუსტი აღწერის წარმოდგენა. პირველი განმცხადებლის თქმით, ზემოხსენებულის საფუძველზე, მას უნდა მიანიჭონ უფლება, გათავისუფლდეს მტკიცების ტვირთისაგან და უპირატესობა მიენიჭოს არსებული ეჭვის დროს, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ სამედიცინო მტკიცებულებას, რომელიც მან წარმოადგინა.

72. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ის ძალიან კარგად იყო ინფორმირებული ჩილეში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, ვინაიდან მთავრობის წარმომადგენლებს წლების განმავლობაში უხდებოდათ საკმაოდ ბევრ ჩილელ ლტოლვილთან ურთიერთობა, გარდა ამისა, სანტიაგოში შვედეთის საელჩოს საშუალებით კავშირი ჰქონდათ ოპოზიციურ ჯგუფებთან. მთავრობამ აღნიშნა, რომ იმ დროს, როდესაც გაძევების გადაწყვეტილება იქნა მიღებული, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პოლიტიკური და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სიტუაცია და ბევრი ადამიანი, რომელიც თავშესაფარს ეძებდა შვედეთში, ბრუნდებოდა ჩილეში პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად. ამას გარდა, მთავრობამ ძირეულად განიხილა პირველი განმცხადებლის არგუმენტაცია და ჩათვალა, რომ მოვლენათა მისეული ვერსია არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ამასთან დაკავშირებით მთავრობამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ პირველ განმცხადებელს არაფერი უთქვამს წამების შესახებ ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის, სანამ იგი არ დაკითხეს პოლიციაში 1989 წლის 13 იანვარს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 22). უფრო მეტიც, მისი მონათხრობის შინაარსი ურთიერთსაწინააღმდეგო და სხვადასხვა ასპექტში დამაჯერებლობას მოკლებული იყო.

გარდა ამისა, მთავრობა ამტკიცებდა, რომ მტკიცებულებები, რომლებიც შეგროვებული იქნა განმცხადებლის გაძევების შემდეგ, ასაბუთებს მთავრობის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელი არ ყოფილა აქტიურად ჩაბმული პოლიტიკურ ცხოვრებაში და *FPMR*-ის საქმიანობაში, მის წინააღმდეგ არ ყოფილა წარმოებული დევნა პოლიციის მიერ.

საბოლოო ჯამში მთავრობა ამტკიცებდა, რომ პირველი განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო მტკიცებულებები ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ წარსულში მის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა ცუდ მოპყრობას. იგი არ წარმოაჩენს იმას, რომ იგი აწამეს ჩილეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ან იმ პირებმა, რომელთა გამოც პასუხისმგებლობა ჩილეს მთავრობას შეიძლება დაეკისროს.

73. მთავრობის პოზიციის საპირისპიროდ, კომისიამ დაუშვა, რომ ბ-ნი კრუზ ვარასი შესაძლოა წარსულში დაქვემდებარებულიყო მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას იმ პირთა მიერ, რომელთა ქმედებებზეც ჩილეს სახელმწიფო იყო პასუხისმგებელი. თუმცა ჩილეში პოლიტიკური სიტუაციის განვითარების გათვალისწინებით კომისიამ აღარ მიიჩნია, რომ ჩილეში კვლავაც არსებობდა ასეთი მოპყრობის საფრთხე.

2. საკითხების განხილვა სასამართლოს მიერ

ა. ფაქტების დადგენა

74. სასამართლო კვლავ მიუთითებს იმაზე, რომ კონვენციის სისტემის თანახმად, ფაქტების დადგენა და შემოწმება შედის კომისიის კომპეტენციაში (28-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და 31-ე მუხლი). შესაბამისად, სასამართლოს მიერ ამ სფეროში თავისი უფლებამოსილების გამოყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ხდება. თუმცა სასამართლო არ არის შეზღუდული მხოლოდ კომისიის მიერ დადგენილი ფაქტებით და მინიჭებული აქვს თავისუფლება, მოახდინოს საკუთარი შეფასება მის წინაშე წარმოდგენილი მასალის საფუძველზე.

75. იმის განსაზღვრისას, წარმოდგენილია თუ არა მნიშვნელოვანი საფუძველები, რათა დარწმუნებით ითქვას, რომ არსებობს მე-3 მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგო მოპყრობის საფრთხე, სასამართლო შეაფასებს საკითხს მის წინაშე წარმოდგენილი მთელი მასალის გათვალისწინებით და საჭიროებისამებრ მოიპოვებს მასალას *proprio motu* (იხ. საქმეზე *Ireland v. the United Kingdom* გამოტანილი განაჩენი, 1978 წლის 18 იანვარი, სერია A №25, გვ. 64, პუნქტი 160).

76. ვინაიდან ამგვარ საქმეებში ხელშემკერელი სახელმწიფოების პასუხისმგებლობა მე-3 მუხლის საფუძველზე მდგომარეობს ადამიანის დაყენებაში ცუდი მოპყრობის საფრთხის წინაშე, საფრთხის არსებობა უპირველეს ყოვლისა უნდა შეფასდეს იმ ფაქტებთან მიმართებაში, რომლებიც ცნობილი იყო ან უნდა ყოფილიყო ცნობილი ხელშემკერელი სახელმწიფოსთვის გაძევების დროს; თუმცა სასამართლოს აქვს უფლება, გაითვალისწინოს ის ინფორმაცია, რომელიც წარმოჩინდება გაძევების შემდეგ. ასეთ ინფორმაციას შესაძლოა გააჩნდეს მნიშვნელობა ხელშემკერელი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული შეფასების დადასტურების ან უარყოფისათვის ან განმცხადებლის შიშის დასაბუთებულობის დადგენისათვის.

ბ. დააყენა თუ არა გაძევებამ პირველი განმცხადებელი არაადამიანური მოპყრობის საფრთხის წინაშე

77. სასამართლო ითვალისწინებს განმცხადებლების მიერ წარმოდგენილ სამედიცინო მტკიცებულებებს, განსაკუთრებით კი დოქტორ იაკობსონის მტკიცებულებას, რომლის მიხედვითაც განმცხადებლის ტრილობები და მისი ქცევის მანერა, როდესაც იგი პყვებოდა, თუ რა გამოსცადა, სინამდვილეს შეესაბამებოდა (იხ. წინამდებრე განაჩენის 26-ე, 39-ე და მე-40 პუნქტები). თუკი გავითვალისწინებთ დოქტორ იაკობსონის გამოცდილებას ნაწამებ ადამიანთა გასინჯვაში, ეს მტკიცებულება ასაბუთებს იმ

მოსაზრებას, რომ განმცხადებელი წარსულში, გარკვეულ ეტაპზე, დაექვემდებარა არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას. კომისიის მოსაზრების თანახმად, ასეთი მოპყრობის ერთდერთი რეალური ახსნა არის ის, რომ იგი განახორციელეს პირებმა, რომელთა ქმედებებზეც „მაშინდელი ჩილეს რეჟიმი“ იყო პასუხისმგებელი. თუმცა პირველი განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებათა გარდა, სასამართლოსთვის წარმოდგენილ მასალებში არ არის არავითარი ელემენტი, რომელიც წარმოადგენს ასეთი დასკვნის დამადასტურებელ პირდაპირ მტკიცებულებას.

78. უფრო მეტიც, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გავითვალისწინებთ შიშს, რომელიც თავშესაფრის მაძიებელს შესაძლოა გააჩნდეს ხელისუფლების მიმართ, და იმ სიძნელეებს, რომლებსაც იგი შესაძლოა წააწყდეს თავის პრეტენზიათა დოკუმენტური მტკიცებულებებით გამყარებისას, პირველი განმცხადებლის სრული დუმილი მის არალეგალურ საქმიანობასა და ჩილეს ხელისუფლების მიერ მის წამებასთან დაკავშირებით ვახიოს პოლიციის მიერ მისი პირველი დაკითხვის შემდეგ თვრამეტი თვის განმავლობაში წარმოშობს საფუძვლიან ეჭვს მისი ჩვენების დამაჯერებლობასთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 14-22).

როგორც მთავრობამ აღნიშნა, არც პოლიციის მიერ ჩატარებული დაკითხვების დროს, რომელთაც ადგილი ჰქონდა 1987 წლის ივნისსა და 1988 წლის ოქტომბერში, არც იმ უამრავ წერილობით მიმართევებში, რომლებიც წარმოდგენილი იქნა 1989 წლის იანვრამდე მიმდინარე საიმპიგრაციო სამართალწარმოებისას, განმცხადებელს არ დაუსახელებია და არ მიუთითებია ამ ფაქტებზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 22). ეს ეჭვები ძლიერდება იმ ფაქტით, რომ სამართალწარმოების ყველა ზემოხსენებულ ეტაპზე განმცხადებელს ჰყავდა იურიდიული წარმომადგენელი და, შესაბამისად, უნდა სცოდნოდა იმის შესახებ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო, ეცნობებინა ხელისუფლებისათვის ყველა იმ ელემენტის შესახებ, რომელიც გაამყარებდა მის თხოვნას თავშესაფრის მიცემაზე. განმცხადებლის ჩვენების სიმართლე საეჭვო ხდება ჩვენებათა შეცვლის გამოც, რასაც იგი ყოველი დაკითხვის დროს აკეთებდა, აგრეთვე იმ ფაქტის გამო, რომ სასამართლოსთვის არ ყოფილა წარდგენილი არავითარი მასალა, რომელიც დაადასტურებდა განმცხადებლის არალეგალურ პოლიტიკურ მოღვაწეობას *FPMR*-ის რიგებში ან მის წევრებათა თანამშრომლობას (იქვე). პირიქით, მტკიცებულება საპირსპიროზე მიუთითებს (იხ. წინამდებარე განაჩენის 41-ე–43-ე პუნქტები).

79. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ გაძევების შემდეგ ჩილეში ცხოვრების განმავლობაში განმცხადებელს აშკარად არ შეეძლო დაედგინა რომელიმე მოწმის ადგილსამყოფელი ან წარმოედგინა სხვა მტკიცებულება, რომელიც გარკვეულწილად გაამყარებდა მის მტკიცებას არალეგალურ პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

80. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩილეში ადგილი ჰქონდა დემოკრატიული განვითარების პროცესს, რომელიც საფუძვლად დაედო პოლიტიკური სიტუაციის გაუმჯობესებასა და ლტოლვილთა ნებაყოფლობით დაბრუნებას შევდეთიდან და ყველა სხვა ქვეყნიდან (იხ. წინამდებარე განაჩენის 34-ე და 51-ე პუნქტები).

81. სასამართლო ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ შევდეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს გააჩნიათ გარკვეული ცოდნა და გამოცდილება ანალოგიური სარჩელების შეფასებისას, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1973 წლის შემდეგ შევდეთში თავშესაფრის მაძიებელი ძალზე ბევრი ჩილელი ჩავიდა. განმცხადებლის გაძევების საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნა ეროვნული

საიმეგრაციო კოლეგიისა და მთავრობის მიერ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 14-33).

82. ამ მოსაზრებათა მხედველობაში მიღებით სასამართლო ასკვნის, რომ არ ყოფილა წარმოდგენილი არსებითი მიზეზები იმის სადემონსტრაციოდ, რომ პირველი განმცხადებლის გაძევება 1989 წლის ოქტომბერში დააყენებდა მას არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის საფრთხის წინაშე. შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია ამასთან დაკავშირებით მე-3 მუხლის დარღვევას.

გ. გამოიწვია თუ არა პირველი განმცხადებლის გაძევებამ მე-3 მუხლის დარღვევის ტოლფასი ტრავმა

83. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ არაადამიანურმა მოპყრობამ უნდა მიაღწიოს გარკვეულ ზღვარს იმისათვის, რომ მოხვდეს მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში. ამ მინიმუმის შეფასება, მოვლენათა ხასიათიდან გამომდინარე, შეფარდებითია. იგი დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორიცაა მოპყრობის ხასიათი და კონტექსტი, მისი აღსრულების მანერა და მეთოდი, ხანგრძლივობა, ფიზიკური თუ სულიერი ზეგავლენა და ზოგიერთ შემთხვევაში სქესი, ასაკი და მსხვერპლის ჯანმრთელობის მდგომარეობა (იხ. ზემოხსენებული *Soering*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A, №161, გვ 39, პუნქტი 100 და მასში წარმოდგენილი მაგალითები).

84. წინამდებარე საქმეში, ჩაითვა, რომ პირველი განმცხადებელი გაძევებამდე განიცდიდა ტრავმის შემდგომ ნერვულ მოშლილობას და მისი სულიერი მდგომარეობა გაუარესდა ჩილეში დაბრუნების შემდეგ (იხ. წინამდებარე განაჩენის 27-ე და 44-ე პუნქტები). თუმცა წინამდებარე განაჩენის 82-ე პუნქტში ნახსენები დასკვნიდან გამომდინარე, არ ყოფილა წარმოდგენილი სერიოზული საფუძველი პირველი განმცხადებლის შიშის სადემონსტრაციოდ. შესაბამისად, სასამართლო არ თვლის, რომ პირველი განმცხადებლის გაძევებამ გადააჭარბა მე-3 მუხლით დადგენილ ზღვარს.

დ. წარმოშობს თუ არა მესამე განმცხადებლის შესაძლო გაძევება კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას

85. განმცხადებლები არ გამოცხადებულან სასამართლოს წინაშე, რათა დაეცვათ თავიანთი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მესამე განმცხადებლის გაძევება გამოიწვევდა მე-3 მუხლის დარღვევას. ნებისმიერ შემთხვევაში ფაქტებიდან გამომდინარე დარღვევა არ წარმოჩინდება.

ბ. რეზიუმე

86. ადგილი არ ჰქონია მე-3 მუხლის დარღვევას.

II. მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

87. სამივე განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ პირველი განმცხადებლის გაძევებამ გამოიწვია მათი ოჯახის დანაწევრება და ამიტომაც წარმოადგენდა მე-8 მუხლით გათვალისწინებული, მათი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევას. კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად:

„1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

2. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების ჩარევა ამ უფლების განხორციელებაში, გარდა ისეთი ჩარევისა, რაც დაშვებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის ან უწყესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“

განმცხადებელთა აზრით, იმის შეფასებისას, დაირღვა თუ არა მე-8 მუხლი, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ კომისიამ, საპროცედურო რეგლამენტის 36-ე მუხლის საფუძველზე, მიმართა მთავრობას, არ განეხორციელებინა გაძევება. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ პირველი განმცხადებლის გაძევებამ ოჯახის დარჩენილი წევრები დააყენა არჩევანის წინაშე, მიმალულიყვნენ და 25-ე მუხლის საფუძველზე გამოეყენებინათ მიმართვის უფლება, თუ დაბრუნებულიყვნენ ჩილეში პირველ განმცხადებელთან ერთად.

88. როგორც ეს ხაზგასმული იქნა მთავრობისა და კომისიის მიერ, სამივე განმცხადებლის გაძევება ნაბრძანები იყო შვედეთის მთავრობის მიერ, მაგრამ მეორე და მესამე განმცხადებლები მიიმალნენ და მიმალვაში იმყოფებოდნენ, რათა თავიდან აეცილებინათ ბრძანების განხორციელება (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 33). უფრო მეტიც, წარმოდგენილი მტკიცებულებები არ წარმოაჩენს, რომ განმცხადებლებს შეიძლება რაიმე წინააღმდეგობა შექმნოდათ სამშობლოში ოჯახური ცხოვრების გაგრძელებაში (იხ. *mutatis mutandis*, *Abdulaziz, Cabales and Balkandali*-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1985 წლის 28 მაისი, სერია A, №94, გვ. 34, პუნქტი 68). სასამართლო ამასთან დაკავშირებით მიუთითებს თავის დასკვნაზე, რომელიც ეხება მე-3 მუხლთან დაკავშირებულ საჩივარს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 86). ამ გარემოებებში პასუხისმგებლობა ოჯახის დანაწევრებაზე არ შეიძლება დაეკისროს შვედეთს.

89. შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია განმცხადებელთა ოჯახური ცხოვრების მიმართ „პატივისცემის არარსებობას“ მე-8 მუხლის დარღვევით.

III. 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საგარაუდო დარღვევა

90. დასადგენია, წარმოადგენს თუ არა შვედეთის მთავრობის მიერ საპროცედურო რეგლამენტის 36-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებული კომისიის მითითების – განმცხადებელთა გაძევებისაგან თავის შეკავების – შეუსრულებლობა კონვენციის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი ვალდებულების (ხელი არ შეუშალოს გასაჩივრების უფლების ეფექტიან გამოყენებას) დარღვევას. ხსენებული დებულების თანახმად:

„კომისიას შეუძლია მიიღოს სარჩელი, რომელიც ეგზავნება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ნებისმიერი პირისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციისაგან ან პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც აცხადებენ, რომ დაზარალდნენ ერთ-ერთი ხელშემკერელი სახელმწიფოს მხრიდან კონვენციით განსაზღვრული მათი უფლებების დარღვევის საფუძველზე, მაგრამ, ამასთან, მაღალ ხელშემკერელი მხარეს, რომლის წინააღმდეგაც საჩივარი იქნა შეტანილი, აღიარებული უნდა ჰქონდეს, რომ იგი ცნობს კომისიის კომპეტენციას, მიიღოს ასეთი სარჩელები. ის მაღალი ხელშემკერელი სახელმწიფოები, რომლებმაც გააკეთეს ასეთი განაცხადი, ვალდებულებას იღებენ, ხელი არ შეუშალონ რაიმე გზით ამ უფლების ეფექტიან განხორციელებას.“

რეგლამენტის 36-ე მუხლის თანახმად:

„კომისიას, ხოლო როდესაც იგი არ არის შეკრებილი, პრეზიდენტს შეუძლია მიუთითოს მხარეებს ნებისმიერი დროებითი ღონისძიების განხორციელებაზე, რომელიც სასურველი იქნებოდა მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე და კომისიის წინაშე სამართალწარმოების ჯეროვნად განხორციელებისათვის.“

ა. სასამართლოს წინაშე წარმდგარ პირთა არბუშმენტაცია

91. განმცხადებელთა განაცხადში ნათქვამი იყო, რომ სარჩელის შეტანის უფლების ეფექტიანად განხორციელება გულისხმობდა, რომ კონვენციის ორგანოებში წარმოებული სამართალწარმოების წარმატებას მათთვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. ეს ასე არ იქნებოდა, თუ იმ დროისათვის, როცა მათი საჩივრები იხილებოდა, პირველ განმცხადებელს უკვე მიაღება ის ზიანი, რომელიც განაცხადის შედეგად უნდა აეცილებინა. გარდა ამისა, განმცხადებლების თქმით, იმისათვის, რომ სარჩელით მიმართვის უფლება ეფექტიანი იყოს, სამართალწარმოების დროს დაცული უნდა იქნეს თანასწორობის პრინციპი და უფლება შესაბამის დროსა და საშუალებებზე დაცვის მოსამზადებლად – საქმის სამართლიანი განხილვის ეს ორი უმთავრესი პრინციპი, რომლებსაც მე-6 მუხლი იცავს. ის ფაქტი, რომ დაცვას არ ჰქონია საშუალება, პირისპირ შესხედროდა პირველ განმცხადებელს, ნიშნავდა, რომ განმცხადებლებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, ეწარმოებინათ იმ მტკიცებულებათა მოკვლევა, რომლებიც ხელს შეუწყობდა მათ მიერ მე-3 და მე-8 მუხლებთან დაკავშირებით შეტანილი საჩივრების გამყარებას. ამას გარდა, პირველ განმცხადებელს ხელი შეუშალეს კომისიის წინაშე გამართულ სამართალწარმოებაში მონაწილეობის მიღებაში. შესაბამისად, ისინი არ სარგებლობდნენ პატიოსანი პროცედურით რესპონდენტ მთავრობასთან თანასწორობის საფუძველზე და, შესაბამისად, მათ ხელი შეუშალეს საკუთარი საქმის ეფექტურად წარმოდგენაში.

92. მთავრობა ამტკიცებდა, რომ კონვენციის საფუძველზე არ არსებობს არავითარი ვალდებულება, რომელიც გულისხმობს კომისიის მიერ 36-ე მუხლის შესაბამისად მიცემული მითითების შესრულებას. კომისიის აზრი პრეტენზიის არსთან დაკავშირებით სავალდებულო არ იყო ხელშემკერველი მხარისათვის და მის არასავალდებულო ხასიათს ადასტურებდა ის სტილი, რომლითაც წინამდებარე საქმეში მოთხოვნა იყო გაკეთებული. ამას გარდა, ის ფაქტი, რომ 36-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებული მითითებების შესრულება წარსულში ყოველთვის ხდებოდა, არ შეიძლება სავალდებულოს ხდიდეს მას კონვენციის თანახმად.

მთავრობის აზრით, შედეგთს ასეთი სახის თხოვნები სავალდებულოდ რომ მიეჩნია, იგი ვერ შეძლებდა კონვენციის რატიფიცირებას შიდა კანონმდებლობის შეუცვლელად, ვინაიდან ისეთ საქმეებში, როგორიც წინამდებარე საქმეა, შეუძლებელი იქნებოდა შესაბამისობა კონსტიტუციური მიზეზების გამო.

რაც შეეხება კონვენციის 25-ე მუხლს, იგი განმარტებული იქნა, როგორც მუხლი, რომელიც იცავს სარჩელის წარმართვისა და განხორციელების საშუალების პროცედურულ უფლებას. კომისიის ინტერპრეტაცია, რომ იგი იცავდა განმცხადებლებს გამოუსწორებელი ზიანისაგან, არ ეფუძნება დებულებას ან სამართლებრივ ენას. ნებისმიერ შემთხვევაში, გაძევების ბრძანების განხორციელებამ არ შეუშალა ხელი პირველ განმცხადებელს, წარედგინა თავისი საქმე კომისიისთვის.

93. ის ფაქტი, რომ შედეგთმა არ შეასრულა 36-ე მუხლის თანახმად გაცემული პირველი მითითება, კომისიისათვის კონვენციის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევას წარმოადგენდა. თუმცა ამ დებულებით განსაზღვრული ვალდებულება ხელშემკერველ სახელმწიფოებს არ აკისრებს ზოგად ვალდებულებას,

შეაჩერონ ღონისძიებები ან გადაწყვეტილებები შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, არსებობდა განსაკუთრებული გარემოებები, როდესაც გადაწყვეტილების აღსრულება შესაძლოა წინააღმდეგობაში მოსულიყო სარჩელის უფლების ეფექტიან განხორციელებასთან. ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, როდესაც შესაძლებელი იყო, განმცხადებელს სერიოზული და გამოუსწორებელი ზიანი მისდგომოდა გაძევების ბრძანების აღსრულების შედეგად იმ გარემოებებში, როდესაც კომისიამ 36-ე მუხლის თანახმად განახორციელა მითითება გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების თაობაზე. სარჩელის წარდგენის სისტემის ეფექტიანობას სერიოზული ზიანი მიაღებოდა იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს არ დაეკისრებოდათ ვალდებულება, შეესრულებინათ კომისიის ან სასამართლოს მიერ გაცემული მითითებები ან თუ მხარეები გადადგამდნენ ისეთ ნაბიჯებს, რომლებსაც შეეძლო განმცხადებლის სიცოცხლის ხელყოფა. წინამდებარე საქმეში მთავრობამ ჩაშალა სავარაუდო დარღვევის განხილვა და კითხვის ქვეშ დააყენა კონვენციის ორგანოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულობა და ეფექტიანობა.

ბ. საპროტესტის ბანხილვა სასამართლოს მიერ

1. ზოგადი მიმოხილვა

94. როგორც ეს სხვა შემთხვევებში იქნა აღნიშნული, კონვენცია განმარტებული უნდა იქნეს მისი სპეციალური ხასიათის გათვალისწინებით, ანუ როგორც ხელშეკრულება, რომელიც იცავს ადამიანებს, და მისი დამცავი გარანტიები ისე უნდა იქნეს აგებული, რომ იყოს პრაქტიკული და ქმედითი (იხ. *inter alia*, ზემოხსენებული *Soering*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A №161, გვ. 34, პუნქტი 87). მიუხედავად იმისა, რომ ეს მიდგომა ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ, რომ კომისიასა და სასამართლოს უფლება აქვთ, ბრძანონ დროებითი ღონისძიების განხორციელება მიმდინარე სამართალწარმოების პროცესის მხარეთა უფლებების დასაცავად, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა თუ აქტებისგან განსხვავებით, კონვენცია არ შეიცავს კონკრეტულ დებულებას ასეთ ღონისძიებებთან დაკავშირებით (იხ. *inter alia*, ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს წესდების 41-ე მუხლი, 1969 წლის ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის 63-ე მუხლი და ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის დამფუძნებელი 1957 წლის ხელშეკრულების 185-ე და 186-ე მუხლები).

95. „ევროპულმა მოძრაობამ“, რომელმაც პირველმა წამოაყენა წინადადება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პროექტის შექმნაზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წესდებაში იმთავითვე ჩართო დროებითი ღონისძიებების თაობაზე დებულება (35-ე მუხლი), რომელიც არსებითად მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წესდების 41-ე მუხლს ეყრდნობოდა (იხ. *travaux préparatoires*-ის კრებული, ტომი I, გვ. 314). თუმცა კონვენციის *travaux préparatoires* ღუმს იმ მსჯელობასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლებოდა დაკავშირებული ყოფილიყო ამ საკითხთან.

96. კონვენციაში დროებითი ღონისძიებების თაობაზე დებულების არარსებობა საფუძვლად დაედო ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის მიერ მინისტრთა კომიტეტისათვის გაგზავნილ რეკომენდაციას. რეკომენდაცია მოუწოდებდა მინისტრთა კომიტეტს, შეედგინა კონვენციის დამატებითი ოქმი, რომელიც უფლებას მიანიჭებდა კონვენციის ორგანოებს, გამოეცათ ბრძანება დროებითი ღონისძიების შესახებ შესაბამის საქმეებში (იხ. რეკომენდაცია 623 (1971), კონვენციის წელიწადი, ტომი 14, გვ. 68-71). მინისტრთა კომიტეტმა მოგვიანებით გადაწყვიტა, რომ ასეთი ოქმის შექმნა არ იყო მიზანშეწონილი იმის გამო, *inter alia*, რომ კომისიის არსებული პრაქტიკა

მთავრობებისადმი გასაჩივრებული ღონისძიების შეჩერების თაობაზე თხოვნით მიმართვის თვალსაზრისით დამაკმაყოფილებლად ფუნქციონირებდა (იხ. დოკუმენტი 3325, გვ. 4-6, საკონსულტაციო ასამბლეის სამუშაო მასალები, 25-ე სამუშაო სესია, 1973 წლის 25 სექტემბერი – 2 ოქტომბერი). ასამბლემ მოგვიანებით რეკომენდაციით მიმართა მინისტრთა კომიტეტს, რათა ამ უკანასკნელს მიემართა წევრი სახელმწიფოებისათვის, „შეეჩერებინათ ექსტრადიცია ან გაძევება არაწევრ სახელმწიფოში“, როდესაც კომისიას ან სასამართლოს უნდა გამოეტანა გადაწყვეტილება, *inter alia*, მე-3 მუხლთან დაკავშირებულ საჩივართან (იხ. რეკომენდაცია 817 (1977) თავშესაფრის უფლების ცალკეული ასპექტების შესახებ, კონვენციის წელიწადეული, ტომი 20, გვ. 82-85). საბოლოოდ მინისტრთა კომიტეტმა 1980 წლის 27 ივნისს მიიღო ანალოგიური ხასიათის რეკომენდაცია, რომელიც მიმართული იყო წევრი ქვეყნების მთავრობებისადმი და ეხებოდა არაწევრ სახელმწიფოში ექსტრადიციას (იხ. რეკომენდაცია № R (80) 9, კონვენციის წელიწადეული, ტომი 23, გვ. 78-79).

2. იძლევა თუ არა 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ან რომელიმე სხვა წყარო დროებითი ღონისძიების თაობაზე ბრძანების უფლებამოსილებას?

97. მიუხედავად კონვენციაში კონკრეტული დებულების არარსებობისა, ამ საკითხის განხილვისას წამოიჭრება კითხვა, აქვს თუ არა კომისიას დროებითი ღონისძიების ბრძანების უფლებამოსილება, რაც შესაძლოა გამომდინარეობდეს 25-ე (1) მუხლიდან და განიხილება ცალკე ან კომისიის საპროცედურო რეგლამენტის 36-ე მუხლთან ან სხვა წყაროსთან კავშირში.

98. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ რეგლამენტის 36-ე მუხლს გააჩნია მხოლოდ საპროცედურო მუხლის სტატუსი, რომელიც კომისიის მიერ კონვენციის 36-ე მუხლის საფუძველზეა შემუშავებული. თუ გავითვალისწინებთ, რომ კონვენციაში არ არსებობს არავითარი დებულება დროებით ღონისძიებასთან დაკავშირებით, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მითითება, რომელიც განხორციელდა რეგლამენტის 36-ე მუხლის თანახმად, წარმოშობს ვალდებულებას ხელშემკვრელი სახელმწიფოებისათვის. ეს ასახულია როგორც რეგლამენტის 36-ე მუხლში („შეუძლია მიუთითოს მხარეებს ნებისმიერი დროებითი ღონისძიების განხორციელებაზე, რომელიც სასურველი იქნებოდა“), ისე იმ მითითებებში, რომლებიც გაკეთდა წინამდებარე საქმეში („მიუთითოს შვედეთის მთავრობას, რომ სასურველი იქნებოდა ... არ გენერაციელებინა განმცხადებელთა ჩილეში დეპორტირება“) (იხ. ზემოთ 56-ე პუნქტი და ანალოგიური ფორმულირება 61 პუნქტში).

99. რაც შეეხება ხელშემკვრელი სახელმწიფოების ვალდებულებას, ხელი არ შეუშალონ სარჩელით მიმართვის უფლების ეფექტიანად განხორციელებას, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ 25-ე (1) მუხლი შემოიფარგლება მხოლოდ კომისიის წინაშე წარმოებული სამართალწარმოებითა და ინდივიდუალური განაცხადებით. იგი არ ეხება სახელმწიფოთაშორის საქმეებს, სადაც რეგლამენტის 36-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებული მითითების პატივისცემის ინტერესი არსებითად იგივეა.

თავისი მნიშვნელობით 25-ე (1) მუხლი მხარეებს აკისრებს ვალდებულებას, ხელი არ შეუშალონ ადამიანის უფლებას, ეფექტურად წარადგინოს და ბოლომდე მიჰყვეს თავის სარჩელს კომისიის წინაშე. ასეთი ვალდებულება განმცხადებელს ანიჭებს პროცედურული ხასიათის უფლებას, რომელიც განსხვავდება კონვენციის 1-ლ ნაწილში თუ ოქმებში მოხსენიებული ძირითადი უფლებებისაგან. თუმცა რეგლამენტის ხსენებული მუხლის ძირითადი არსიდან გამომდინარეობს ის, რომ ადამიანებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, გაასაჩივრონ ამ მუხლის საგარეულო დარღვევები კონვენციის ორგანოების

წინაშე სამართალწარმოებისას. ამ თვალსაზრისით კონვენციაც განმარტებული უნდა იქნეს როგორც იმ უფლებათა გარანტორი, რომლებიც, თეორიული და ილუზიური უფლებებისაგან განსხვავებით, პრაქტიკული და ქმედითი იქნება (იხ. ზემოხსენებული *Soering*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A №161, გვ. 34, პუნქტი 87 და მასში წარმოდგენილი მაგალითები).

მიუხედავად ამისა, როგორც ეს ზემოთ იქნა ნახსენები, კონვენციის არავითარი კონკრეტული დებულება არ ანიჭებს კომისიას იმის უფლებას, რომ გასცეს ბრძანება დროებითი ღონისძიების განხორციელების შესახებ. ეს გადააჭარბებდა 25-ე მუხლის დებულებათა შინაარსს იმ შემთხვევაში, თუკი სიტყვებში „იღებენ ვალდებულებას, ხელი არ შეუშალონ არანაირი გზით ამ უფლების ქმედით განხორციელებას“ ვიგულისხმებდით კომისიის მიერ რეგლამენტის 36-ე მუხლის საფუძველზე გაკეთებული მითითების დამორჩილების ვალდებულებას. ეს დასკვნა არ იცვლება 25-ე მუხლის რეგლამენტის 36-ე მუხლთან – როგორც ეს წარმოადგინა კომისიის დელეგატმა – ან კონვენციის 1-ლ და მე-19 მუხლებთან მიმართებაში განხილვის შემთხვევაშიც.

100. ხელშემკერელი მხარეების პრაქტიკა ამ სფეროში გვაჩვენებს, რომ ადგილი ჰქონდა აბსოლუტურ შესაბამისობას 36-ე მუხლის თანახმად გაცემულ მითითებასთან. შესაძლებელია მიჩნეული იქნეს, რომ შემდგომი პრაქტიკა აწესებს ხელშემკერელი მხარეების შეთანხმებას კონვენციის დებულების განმარტებასთან დაკავშირებით (იხ. *mutatis mutandis* ზემოხსენებული *Soering*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A №161, გვ. 40-41, პუნქტი 103, და 1969 წლის 23 მაისის სახელმწიფოებო სამართლის ვენის კონვენციის 31 3 (ბ) მუხლი), მაგრამ არა იმ ახალი უფლებებისა და ვალდებულებების შექმნას, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული კონვენციაში თავიდანვე (იხ. *mutatis mutandis Johnston and Others*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1986 წლის 18 დეკემბრის განაჩენი, სერია A №112, გვ. 25, პუნქტი 53). ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც ეს ასახული იქნა ეროპის საბჭოს ორგანოთა ზემოხსენებულ სხვადასხვა რეკომენდაციებში, სახელმწიფოთა ქმედებების შესაბამისობა 36-ე მუხლის თანახმად განხორციელებულ მითითებებთან არ შეიძლებოდა დაფუძნებოდა იმ მოსაზრებას, რომ ეს მითითებები სავალდებულო ხასიათისაა (იხ. წინამდებარე განაჩენის 96-ე პუნქტი). ეს უფრო წააგავდა კომისიასთან კეთილი ნებით თანამშრომლობას იმ საქმეებში, სადაც ეს მიზანშეწონილად და პრაქტიკულად ჩაითვადა.

101. და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ არავითარი მხარდაჭერა არ შეიძლება გამომდინარეობდეს საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებიდან, რადგანაც, როგორც ეს კომისიის მიერ იქნა აღნიშნული, ის საკითხი, არის თუ არა საერთაშორისო სასამართლოების მიერ მითითებული ღონისძიებები სავალდებულო ხასიათის, სადავო საკითხია და ამასთან დაკავშირებით არ არსებობს უნიფიცირებული სამართლებრივი წესები.

102. შესაბამისად, სასამართლო თვლის, რომ დროებითი ღონისძიების ბრძანების უფლებამოსილება არ შეიძლება გამომდინარეობდეს არც 25-ე (1) მუხლიდან და არც სხვა წყაროებიდან. ხელშემკერელმა მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ, მიზანშეწონილია თუ არა სიტუაციის გამოსწორება ახალი დებულების მიღების გზით მიუხედავად სახელმწიფოების კეთილი ნებით შესაბამისობის დიდი პრაქტიკისა.

103. ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ რეგლამენტის 36-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებული მითითებები გაიცემა კომისიის ან მისი პრეზიდენტის მიერ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. გაძევების საქმეებში (ან ექსტრადიციის შემთხვევებში) მათი მიზანია, შეატყობინონ ხელშემკერელ

სახელმწიფოებს კომისიის აზრი, რომ განმცხადებელს შესაძლოა დაემუქროს გამოუსწორებელი საფრთხე, თუ იგი გაძევებული იქნება და, ამას გარდა, არსებობს გონივრული საფუძველი, ვიფიქროთ, რომ მისმა გაძევებამ შესაძლოა გამოიწვიოს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. როდესაც სახელმწიფო იღებს გადაწყვეტილებას, არ დაემორჩილოს მითითებას, იგი შეგნებულად იღებს რისკს, რომ საქმის კონვენციის ორგანოების წინაშე განხილვის შედეგად მისი ქმედებები ჩაითვლება მე-3 მუხლის მოთხოვნათა დარღვევად. სასამართლოს აზრით, იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო თავის ყურადღებას მიაქცევს იმ საფრთხეს, რაც შეიძლება გამოიხატოს კომისიის წინაშე მიმდინარე საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის ხელის შეშლაში, კონვენციის ორგანოების მიერ მე-3 მუხლის დარღვევის ნებისმიერი დადგენა დამძიმებული იქნება იმ ფაქტით, რომ სახელმწიფო არ დაემორჩილა განხორციელებულ მითითებას.

3. ნამდვილად შეუშალა თუ არა ხელი გაძევებამ სარჩელის წარდგენის უფლების ეფექტიან განხორციელებას?

104. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ პირველი განმცხადებლის გაძევებამ ნამდვილად შეუშალა ხელი განაცხადის ეფექტურად წარდგენას კომისიის წინაშე.

უეჭველია, რომ რეგლამენტის 36-ე მუხლის შესაბამისად გაკეთებული მითითების შესრულების შემთხვევაში უფრო ადვილი იქნებოდა განმცხადებელთა საქმის კომისიის წინაშე წარდგენა. თუმცა არ არსებობს არავითარი მტკიცებულება, რომ განმცხადებლებს მნიშვნელოვნად შეეშალათ ხელი სარჩელის წარდგენის უფლების განხორციელებაში. პირველი განმცხადებელი ჩილეში ჩასვლის შემდეგაც თავისუფალი იყო და შეეძლო ნებისმიერ დროს დაეტოვებინა ქვეყანა (იხ. წინამდებარე განაჩენის 36-ე–38-ე პუნქტები). განმცხადებელთა წარმომადგენელს შეეძლო კომისიის წინაშე სრულყოფილად წარმოედგინა მათი ინტერესები, მიუხედავად პირველი განმცხადებლის არყოფნისა კომისიის წინაშე მოსმენების მიმდინარეობისას.

არ არის ასევე დადგენილი ის ფაქტი, რომ ადვოკატთან კონსულტაციის წარმოების საშუალების უქონლობამ ხელი შეუშალა ისეთი დამატებითი მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც დაერთვებოდა შევადეთში გრძელი საიმპიგრაციო სამართალწარმოების დროს წარმოდგენილ მტკიცებულებებს ან გააქარწყლებდა მთავრობის მიერ წარმოდგენილ არგუმენტაციას ფაქტობრივ საკითხებთან დაკავშირებით.

4. რეზიუმე

105. ადგილი არ ჰქონია 25-ე (1) მუხლის დარღვევას.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით სასამართლო

1. 18 ხმით ერთის წინააღმდეგ ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია მე-3 მუხლის დარღვევას;
2. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია მე-8 მუხლის დარღვევას;
3. ათი ხმით ცხრის წინააღმდეგ ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია 25-ე (1) მუხლის დარღვევას.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, გამოცხადებულია საჯარო მოსმენაზე ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 1991 წლის 20 მარტს.

ხელმოწერილია: როლფ რისდალი,
პრეზიდენტი

ხელმოწერილია: მარკ-ანდრე ეისენი,
რეგისტრატორი

კონვენციის 51 (2) მუხლისა და სასამართლოს რეგლამენტის 53 (2) წესის შესაბამისად, წინამდებარე განაჩენს თან ერთვის შემდეგი განსხვავებული აზრები:

- ა) ბ-ნი კრემონას, ბ-ნი თორ ვილიალმსონის, ბ-ნი ვოლშის, ბ-ნი მაკდონალდის, ბ-ნი ბერნჰარდტის, ბ-ნი დე მეიერის, ბ-ნი მარტენსის, ბ-ნი ფოიგელისა და ბ-ნი მორენილას განსხვავებული აზრი;
- ბ) ბ-ნი დე მეიერის განსხვავებული აზრი.

ინიციალები: რ. რ.

ინიციალები: მ. ა. ე.

ბ-ნი კრემონას, ბ-ნი თორ ვილიალმსონის, ბ-ნი ვოლშის, ბ-ნი მაკდონალდის, ბ-ნი ბერნჰარდტის, ბ-ნი დე მეიერის, ბ-ნი მარტენსის, ბ-ნი ფოიგელისა და ბ-ნი მორენილას საერთო განსხვავებული აზრი

ჩვენი აზრით, ადგილი ჰქონდა 25-ე მუხლის დარღვევას, რადგან პირველი განმცხადებელი გაძევებული იქნა ჩილეში 1989 წლის 6 ოქტომბერს, ე.ი. ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში განაცხადის წარდგენიდან ერთი დღის შემდეგ და რამდენიმე საათში მას შემდეგ, რაც კომისიამ მიმართა მთავრობას, „არ გაეძევებინა განმცხადებლები ჩილეში...“

1. წინამდებარე განაჩენი ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომელიც გამოხატულია *Soering*-ის საქმეზე გამოტანილ განაჩენში. ამ უკანასკნელის თანახმად, ექსტრადიცია ან გაძევება შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს კონვენციას. ეს სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან კონვენცია უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა ქმედით დაცვას ყველა პირისათვის, ვინც იმყოფება წევრ სახელმწიფოებში. ამ სახელმწიფოთა მთავრობებს არ შეიძლება დაერთოთ ნება, დაუქვემდებარონ ასეთი პირები სხვა ქვეყნებში ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევებს. ეს უეჭველად ასე უნდა იყოს იმ საქმეებში, რომლებშიც არსებობს წამების ან ადამიანის სხვა ძირითად უფლებათა დარღვევის საფრთხე.

კონვენციით უზრუნველყოფილი დაცვა უმნიშვნელო იქნებოდა, თუ სახელმწიფოს ექნებოდა უფლება, მოეხდინა პირების ექსტრადირება ან გაძევება გაძევების შედეგების რაც შეიძლება სწრაფად და ზედმიწევნით წინასწარი განხილვის გარეშე. სასამართლომ რამდენიმეჯერ გაუსვა ხაზი, რომ „კონვენციის, როგორც ადამიანთა დაცვის აქტის, ობიექტი და მიზანი მოითხოვს, რომ მისი დებულებები განმარტებული და გამოყენებული იქნეს ისე, რომ დაცვა იყოს პრაქტიკული და ქმედითი“ (იხ. *Soering*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1989 წლის 7 ივლისის განაჩენი, სერია A №161, გვ. 34, პუნქტი 87). კონვენციით განსაზღვრული საპროცედურო გარანტიების განხილვისას აუცილებელია ამ ძირითადის პრინციპის გათვალისწინება.

2. მართალია, კონვენციის 25-ე (1) მუხლის მეორე წინადადება თავისი შინაარსით იცავს მხოლოდ სარჩელის წარმოდგენის ქმედით განხორციელებას. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, განაცხადი პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებული გახადონ. სხვაგვარად სახელმწიფოები ვალდებული იქნებოდნენ, ნება დაერთოთ ადამიანისთვის, წარედგინა სარჩელი კომისიისთვის, ამის შემდეგ კი დაუყოვნებლივ გაეძევებინათ, მიუხედავად იმისა, როგორი სერიოზული შედეგები უნდა მოჰყოლოდა ამ ქმედებას. ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ასეთ განმარტებას. ჩვენი აზრით, პროცედურული გარანტიები, რომლებსაც მოიცავს 25-ე მუხლი, მოიაზრებს და მოიცავს პირის უფლებას, სარგებლობდეს, სულ მცირე, შანსით, რომ მის მიერ წარმოდგენილი განაცხადი განხილული იქნეს უფრო ზედმიწევნით კონვენციის ორგანოების მიერ და დაცული იქნეს მისი ძირითადი უფლებები, თუ ამის საჭიროება წარმოიშობა.

3. ამ პრინციპებს არ მიეყვართ იმ შედეგამდე, რომ 25-ე მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი ყველა განაცხადი ავტომატურად კრძალავს სხვა ქვეყანაში გაძევებასა თუ ექსტრადირებას. იმ ფაქტმა, რომ 25-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი განაცხადი ეხება ექსტრადირების ან გაძევების გადაწყვეტილებას, არ უნდა შეზღუდოს მთავრობათა უფლებამოსილება, გადაწყვიტონ, უნდა შესრულდეს თუ არა, მიუხედავად ყველაფრისა, მიღებული გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების გამოტანისას მათ შეუძლიათ მხედველობაში მიიღონ, რომ განაცხადები ხშირად აშკარად დაუსაბუთებელია. შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სახელმწიფოს უშიშროებისა და საჯარო პოლიტიკის მოსაზრებებს, ასევე სხვა ფაქტორებს (მათ შორის კონვენციის ორგანოების წარმოებული პროცედურის ხანგრძლივობას). მაგრამ ამ ეტაპზე – და მხოლოდ ამ ეტაპზე – მოქმედებას იწვებს კომისიის საპროცედურო რეგლამენტის 36-ე მუხლის შესაბამისი პირობით ღონისძიებთან დაკავშირებული მითითება. ასეთი მითითება მოპასუხე სახელმწიფოს აძლევს იმის გარანტიას, რომ კომისია ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შეტანილ განაცხადს კონვენციის თვალსაზრისით და განიხილავს საკითხს მოკლე ვადაში (იხ. წინამდებარე განაჩენის 52-ე–55-ე პუნქტები). ამ ჭრილში განხილული ღონისძიებები, რომელთა მითითებაც ხდება რეგლამენტის 36-ე მუხლით, შესაბამის სახელმწიფოს ვალდებულებას აკისრებს, ვინაიდან ეს არის ერთადერთი საშუალება განმცხადებლის დასაცავად იმ გამოუსწორებელი ზიანისაგან, რომელიც შესაძლოა მიაღებს განმცხადებელს მისი უფლებების დარღვევით. ამას გარდა, კონვენცია, ჩვენი აზრით, მოიაზრებს, რომ ისეთ საქმეებში, როგორიც წინამდებარე საქმეა, კონვენციის ორგანოებს გააჩნიათ უფლებამოსილება, მოსთხოვონ მხარეებს თავის შეკავება ისეთი ღონისძიების განხორციელებისაგან, რომელსაც არა მარტო შეუძლია წარმოშვას სერიოზული ზიანი, არამედ შეუძლია სრულებით გააქარწყლოს კონვენციის თანახმად განხორციელებული მთლიანი პროცედურის შედეგი.

და ბოლოს, კონვენციის 25-ე მუხლთან შეუსაბამოა, რომ ამ საქმეში პირველი განმცხადებელი გაძევებული იქნა დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც შეიტანა განაცხადი, კომისიის საპროცედურო რეგლამენტის 36-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებული მითითების საწინააღმდეგოდ.

4. წინამდებარე საქმეში მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ჩილეში დაბრუნების შემდეგ განმცხადებელი არ ყოფილა ნაწამები და რომ მას შეეძლო განეხორციელებინა შესაბამისი ქმედებები კონვენციის ორგანოების წინაშე მიმდინარე პროცედურისას. კრიტიკულ დღეს წარმოადგენს 1989 წლის 6 ოქტომბერი. ამ დღეს არ შეიძლებოდა გამორიცხულიყო ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა და კომისიამ ნათლად მიუთითა, რომ უფრო საფუძვლიანი გამოძიება იყო საჭირო და მალევე წარიმართებოდა.

5. მართალია, რომ, სხვა საერთაშორისო აქტებისაგან განსხვავებით, კონვენცია არ შეიცავს რაიმე ნათელ დებულებას წინასწარ ღონისძიებათა მითითებასთან დაკავშირებით. მაგრამ ეს არ გამოორიცხავს ევროპული კონვენციის დამოუკიდებელ განმარტებას სპეციალურად მისი ობიექტისა და მიზნის, ასევე მაკონტროლებელი მექანიზმის ეფექტიანობის ხაზგასმით. ამ თვალსაზრისით დღევანდელი გარემოებებიც გასათვალისწინებელია. დღეს ინდივიდუალური სარჩელის უფლება და სასამართლოს სავალდებულო იურისდიქცია აღიარებულია ევროპის საბჭოს თითქმის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ. არსებითია ის გარემოება, რომ კონვენციის ორგანოებს უნდა შეეძლოთ, უზრუნველყონ დაცვის ეფექტიანობა, რისთვისაც არიან მოწოდებული.

მოსამართლე დე მეიერის განსხვავებული აზრი

განვიხილო რა წინამდებარე საქმის გარემოებები, როგორც ეს დეტალურადაა აღწერილი განაჩენში⁵, და ის ფაქტი, რომ 1989 წლის ოქტომბერში სიტუაცია ჩილეში არ იყო მთლიანად დამაიმედებელი⁶, მიმაჩნია, რომ არსებობდა იმის საფუძველი, რომ პირველი განმცხადებლის გაძევება ამ ქვეყანაში დააყენებდა იქ მას „წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა თუ დასჯის რეალური საფრთხის წინაშე“⁷. ამიტომაც, ჩემი აზრით, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევას.

5 იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 12-33. იხ. ასევე დოქტორ იაკობსონის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელიც წარმოდგენილია კომისიის მოხსენების 49-ე-57-ე პუნქტებში და წინამდებარე განაჩენის 39-ე და მე-40 პუნქტებში, და ასევე პროფესორ მარიანო კასტეჩის და დოქტორ სონდერგარდის მოსაზრებები, რომლებიც მოხსენიებულია განაჩენის 44-ე და 45-ე პუნქტებში.

6 ამ დროისათვის გენერალ პინოჩეტს კვლავ პრეზიდენტის პოსტი ეკავა. ამასთან, იხ. წინამდებარე განაჩენის 35-ე პუნქტი *in fine* და საერთო განსხვავებული აზრის მე-4 პუნქტი.

⁷ Soering-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1989 წლის 7 ივლისი, სერია A №161, გვ. 35, პუნქტი 91.